ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №4. აპრილი. 2015.

„ერთიანი ძალისხმევით ყველა სირთულეს დავძლევთ“

2015 წლის 3 აპრილს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა და სამეცნიერო პერსონალმა რექტორის მოვალეობის შემსრულებელი აირჩია. არჩევნებში მონაწილეობა 312 ამომრჩევლიდან 299-მა მიიღო და 107 ხმით რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მერაბ ხალვაში გახდა.

ჩვენი გაზეთის სტუმარი სწორედ უმრავლესობის მიერ არჩეული ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი გახლავთ.

— ბატონო მერაბ, როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ამომრჩევლის ასეთი მხარდაჭერა და თქვენი წინასაარჩევნო პროგრამიდან რას მიანიჭეს მათ უპირატესობა?

— უპირველეს ყოვლისა, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნებში და მხარი მე დამიჭირა. ძალისხმევას არ დავიშურებ, რომ ეს ნდობა გავამართლო და ვიზრუნო უნივერსიტეტის შემდგომ განვითარებაზე.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ მომანიჭა უმრავლესობამ უპირატესობა, ჩემი აზრით, ამოსავალი ის გამოცდილება გახლდათ, რაც წლების მანძილზე შევიძინე. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2000 წლიდან ვმუშაობ და აკადემიური თუ ადმინისტრაციული სამსახურის ყველა საფეხური გავიარე. ერთი, რაც შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, არის ის, რომ ეს უნივერსიტეტი ჩემთვის მშობლიურია, რადგან ჩემმა სტუდენტობის წლებმაც ამ კედლებში გაიარა, ასე რომ — ცხოვრების უმეტესი ნაწილი სწორედ ამ უნივერსიტეტს უკავშირდება. 2005 წლიდან მომეცა საშუალება აქტიურად ჩავრთულიყავი უნივერსიტეტის მართვაში. 2005-2011 წლებში სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი გახლდით. ამ პერიოდში იგი ყველაზე დიდი ფაკულტეტი იყო, რომელშიც ერთიანდებოდა სხვადასხვა მიმართულების რამდენიმე სპეციალობა. ამ თანამდებობამ მნიშვნელოვანი გამოცდილება შემძინა. ამის შემდეგ ვხელმძღვანელობდი მაგისტრატურისა და დოქტორანტურის განყოფილებას, პარალელურად კი გახლდით ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 2011 წლიდან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელად ვიყავი არჩეული.

— როგორ ფიქრობთ, როგორი უნდა იყოს უნივერსიტეტის რექტორი, რათა მან დაიმსახუროს როგორც სტუდენტების, ასევე პროფესორ-მასწავლებლების სიყვარული და პატივისცემა?

— როგორი უნდა იყოს უნივერსიტეტის რექტორი? — ვფიქრობ ამის მზა რეცეპტი არ არსებობს. ერთს კი გეტყვით, რომ ყველა პირობას შევქმნი თითოეული უნივერსიტეტელისთვის, არ აქვს მნიშვნელობა ვინ იქნება იგი, პროფესორი, მეცნიერ-თანამშრომელი, ადმინისტრაციის თანამშრომელი, ტექნიკური მუშაკი თუ სტუდენტი, რათა იმუშავონ, ისწავლონ, განახორციელონ სამეცნიერო თუ სასწავლო პროექტები. ამისათვის კი მნიშვნელოვანია ობიექტურობა. ჩემი აზრით, უმთავრესია, რომ რექტორი უნივერსიტეტის ცხოვრებით ცხოვრობდეს, უნივერსიტეტის წარმატებისათვის შინაგანად უნდა იყოს ორიენტირებული და მოტივირებული.

— ბატონო მერაბ, მსგავსი არჩევნები უნივერსიტეტის ისტორიაში პირველად ჩატარდა. თქვენი აზრით, უნივერსიტეტმა გამოავლინა თუ არა დემოკრატიულობის მაღალი ხარისხი და უპასუხა თუ არა თანამედროვეობის გამოწვევებს?

— საქართველოს მასშტაბით, თელავის უნივერსიტეტის შემდეგ, მეორე უნივერსიტეტი ვართ, სადაც რექტორის არჩევნები საყოველთაოობის პრინციპით ჩატარდა. მოგეხსენებათ, რომ კანონმდებლობით რექტორს ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ხოლო მოვალეობის შემსრულებელს — უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი. რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნებში რამდენიმე კანდიდატი მონაწილეობდა და რა თქმა უნდა, ყველას თავისი მხარდამჭერი ჰყავდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ელემენტარული დარღვევაც კი არ დაფიქსირებულა. თითოეულ ამომრჩეველს ჰქონდა საშუალება, თავისუფლად გამოეხატა პოზიცია და სასურველი კანდიდატისთვის მიეცა ხმა. გადანაწილებული ხმების რაოდენობაშიც არ ყოფილა დიდი სხვაობა, რაც თითოეული პრედენდენტის ღირსებაზე მიუთითებს, ეს კი მნიშვნელოვანია შემდგომი თანამშრომლობისა თუ უნივერსიტეტის წინსვლისთვის.

— მალე უნივერსიტეტს ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესი ელოდება. თქვენი აზრით, რამდენად შეძლებს უნივერსიტეტი ღირსეულად გაართვას თავი ამ ამოცანას?

— ვიდრე კონკრეტულად ავტორიზაცია-აკრედიტაციაზე ვისაუბრებდე, გეტყვით, რომ აუცილებლად უნდა არსებობდეს უნივერისიტეტის განვითარების გრძელვადიანი პროგრამა. ეს ის საკითხია, რაშიც თითოეული ჩვენგანი უნდა იყოს ჩართული. გასული საუკუნის ბოლოს სხვადასხვა უნივერსიტეტის რექტორები ბოლონიაში შეიკრიბნენ, სადაც იმსჯელეს, თუ რა იყო უნივერსიტეტის ძირითადი იდეა და მიზანი. დაასკვნეს, რომ ვინაიდან საზოგადოების განვითარება, კულტურული და სოციალური ყოფა, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებზე, უმაღლესი სასწავლებლის ძირითად მიზანსაც განათლებული, ღირსეული, სახელმწიფოებრივი და მოქალაქეობრივი შეგნების ახალგაზრდა თაობის აღზრდა წარმოადგენს, რომელიც ადვილად ადაპტირდება მუდმივად ცვალებად გარე სამყაროში. უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო პროცესი უნდა იყოს ერთიანი, თავისუფალი, რაც დაეფუძნება შემწყნარებლობასა და გახსნილ დიალოგს. ეს ის ძირითადი პრინციპებია, რომელიც ჩვენს იდეადაც მიგვაჩნია. უნივერსიტეტი ამ გზით ვითარდებოდა და ამ გზით უნდა გააგრძელოს სვლა.

ყველა უმაღლესი სასწავლებელის მსგავსად, ჩვენს უნივერსიტეტსაც აქვს მისია. ვინაიდან ბათუმის სახელმწიფო უნივერისტეტი რეგიონულია, მასში ეს სპეციფიურობაცაა გათვალისწინებული. ჩვენი უნივერსიტეტი უკვე რვა ათეული წელია დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. დღეს კი უნივერისტეტი სხვა გამოწვევების წინაშე დგას. მას კონკურენტუნარიან გარემოში უწევს ადაპტირება. აბიტურიენტს არჩევანის გაკეთება რეგიონშინვე შეუძლია, ამიტომ ჩვენ მათ უკეთესი პირობები, განსაკუთრებით მოქნილი, შრომის ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები უნდა შევთავაზოთ.

ყოველწლიურად, დაახლოებით, ათასამდე კურსდამთავრებულიდან საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ მესამედი აგრძელებს სწავლას მეორე და მესამე საფეხურზე, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასა და ინოვაციებზე. ეს კი პირდაპირ განსაზღვრავს პროფესურის ღირსეულ ცვლას. ვფიქრობ, ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს.

აუცილებელია უნივერსიტეტში როგორც სტუდენტისთვის, ასევე პროფესორისთვის იყოს სასიამოვნო გარემო, რათა მათ უხაროდეთ აქ ყოფნა. სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად უნივერსიტეტი დასვენება-განმუხტვის საშუალებასაც უნდა იძლეოდეს, რის წინაპირობაცაა თანამედროვე წიგნადი ფონდით აღჭურვილი ბიბლიოთეკის, კომფორტული და ხელმისაწვდომი კაფისა და სპორტულ-გამაჯანსაღებე-

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ერაზმუს მუნდუსის გაცვლითი პროექტის „UROEAST" გრანტის მფლობელები

European Commission
ERASMUS MUNDUS

დასრულდა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს მუნდუსის გავცლითი პროექტის ,,EUROEAST" გამოცხადებული საგრანტო კონკურსი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ულოცავს ბსუ-ს სტუდენტებსა და მონაწილეებს გამარჯვებას და წარმატებებს უსურვებს.

კონკურსის შედეგები:

პირველი სამიზნე ჯგუფი

ბაკალავრიატი

1. შორენა ჩავლეიშვილი - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი. მიმღები უნივერსიტეტი - ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტი, პოლონეთი, მობილობის ხანგრძლივობა - 10 თვე;

2. ნინო სიხარულიძე - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი. მიმღები უნივერსიტეტი - ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტი, პოლონეთი, მობილობის ხანგრძლივობა - 10 თვე;

3. მამუკა მახარაძე — ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტი, მიმღები უნივერსიტეტი- ვალენსიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ესპანეთი, მობილობის ხანგრძლივობა- 10 თვე;

მეორე სამიზნე ჯგუფი

დოქტორანტურა

4. ნინო დოლიძე — ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი, გერმანია, მობილობის ხანგრძლივობა- 6 თვე;

დოქტორანტურის შემდგომი

1. ნონა მეტრეველი — ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი, გერმანია, მობილობის ხანგრძლივობა- 6 თვე;

მსოფლიო ჩემპიონატი ბიატლსა და ტრიატლში

საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიატლონის ფედერაციის წარმომადგენლები ბსუ-ს სტუდენტებს შეხვდნენ. ახალგაზრდებს სპორტის სახეობები და შეჯიბრის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები გააცნეს. 18-20 სექტემბერს ბათუმი თანამედროვე ხუთჭიდის საერთაშორისო კავშირის მხარდაჭერით ბიატლსა და ტრიატლში მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს. საერთაშორისო ღონისძიებისთვის დაგეგმილია მოხალისედ 100 სტუდენტის შერჩევა. ჩემპიონატში 12 ასაკობრივ კატეგორიაში 30 ქვეყნის 350-მდე სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას.

ვიდეოკონფერენცია თემაზე: „ახალგაზრდობის პრობლემები თანამედროვე მსოფლიოში"

არაფორმალური განათლების ცენტრის ეგიდით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიდეოკონფერენცია ჩატარდა თემაზე: ,,ახალგაზრდობის პრობლემები თანამედროვე მსოფლიოში". საქართველოს ელჩი გაეროში ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებით ლაშა შავყულაშვილი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან ჩაერთო და ახალგაზრდების აქტუალური პრობლემები განიხილა. ვიდეოკონფერენცია არაფორმალური ცენტრის კოორდინატორის ლალი ანთიძის ორგანიზებით გაიმართა და მასში 30 სტუდენტი მონაწილეობდა.

უნივერსიტეტს კანადელი მკვლევარი ჯოშუა ლოვსონი ეწვია

რესპირაციულ დაავადებათა შესწავლის პროექტის ფარგლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს კანადელი მკვლევარი, ეპიდემიოლოგი, პროფესორი ჯოშუა ლოვსონი ეწვია. უცხოელი ექსპერტი რექტორის მოვალეობის შემსრულებელს მერაბ ხალვაშს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანს მარინა ქორიძეს და პროექტის კოორდინატორს, ბსუ-ს პროფესორს ვახტანგ ბერიძეს შეხვდა. უცხოელი ექსპერტის ვიტის მიზანია ქ. ბათუმის ბავშვთა ასაკის კონტიგენტში ასთმის გავრცელების შესწავლისა და წამყვანი რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირების მიმდინარე ანალიზი და ერთობლივი კვლევების განხორციელება. ასთმის დიაგნოსტირების გაუმჯობესება რეგიონში პოლონეთის სილეზიის უნიერსიტეტის ინიციატივით გასული წლის შემოდგომაზე დაიწყო და უკვე გამოკითხულია ბათუმისა და ახლომდებარე რაიონების 6000-მდე მოსწავლე. მკვლევარი საქართველოში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვევით იმყოფება.

ტემპუსის საგრანტო პროექტი - PICASA

ტემპუსის საგრანტო პროექტის - PICASA (ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნების უნივერსიტეტში კულტურული და სტრუქტურული ცვლილებების გზით) ეგიდით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს პროექტის მონიტორინგის ჯგუფის წევრი, ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი მაიკლ ჟორისი ეწვია. ვიზიტის ფარგლებში უცხოელმა ექსპერტმა ქართველ კოლეგებთან ერთად, ორი დღის განმავლობაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის მიზნით საგარეო ურთიერთობათა სამსახურის ფუნქციებზე, სისტემის ორგანიზებაზე, ადამიანური რესურსების განვითარების საკითხებზე რეკომენდაციები შეიმუშავა და ინტერნაციონალიზაციის დებულება განიხილა.

სომეხი მაგისტრანტები ბსუ-ში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამის „უმაღლესი განათლების მენეჯმენტი" ფარგლებში სასწავლო ვიზიტით სომხეთის ვანაძორის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის 5 სტუდენტი იმყოფება. საგანმანათ-

ლებლო პროცესის გაცნობის მიზნით სომეხი სტუდენტები ლექციებს დაესწრნენ და ქალაქის ღირსშესანიშნაობები დაათვალიერეს. სტუმარი-მაგისტრანტები მშობლიურ უნივერსიტეტში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტებთან ერთად გაემგზავრებიან. პროექტის ეგიდით ასევე ბსუ-ს 2 წარჩინებული მაგისტრანტი კობლენცის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლის მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამართულ შეხვედრაზე, რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მერაბ ხალვაშმა და პროგრამის აკადემიურმა პერსონალმა პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და მასში მონაწილე სტუდენტებს წარმატებები უსურვეს.

სამაგისტრო პროგრამა „უმაღლესი განათლების მენეჯმენტი" ტემპუსის საგრანტო პროექტის (530311-TEMPUS-1-2012-1-AM-TEMPUS-JPCR: MASTER IN HIGHER EDUCATION MANAGEMENT: DEVELOPING LEADERS FOR MANAGING EDUCATIONAL TRANSFORMATIO) ფარგლებში ხორციელდება. პროექტის მიზანია საქართველოსა და სომხეთში განათლების რეფორმის მხარდაჭერა და ევროპული გამოცდილების გაზიარების გზით კვალიფიციური კადრების მომზადება. „უმაღლესი განათლების მენეჯმენტი" ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა გუნდის მიერ, ევროპელ პარტნიორებთან კონსულტაციების საფუძველზე შემუშავდა.

სიგელები ქველმოქმედებისა და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის

ქველმოქმედებისა და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის 100 სტუდენტსა და 20-მდე პროფესორსა და ადმინისტრაციის წარმომადგენელს მამა სერგიმ და ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მერაბ ხალვაშმა სიგელები გადასცეს. მეოთხე წელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ქალაქ ბათუმში (რურუას ქუჩა #3) ეფრემ ასურის სახელობის ტაძარს აშენებენ. გარდა ამ ტაძრის მშენებლობისა აქტიურად იყვნენ ჩართული 50-ზე მეტი ეკლესია-მონასტრის მშენებლობასა და სხვა სახის სამუშაოებში. სტუდენტების ორგანიზებით, ბათუმის ხელოვნების ცენტრში, მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა სახელწოდებით ,,ეს გზა ტაძართან მიგვიყვანს". ღონისძიებიდან შემოსული თანხა ეფრემ ასურის სახელობის ტაძრის მშენებლობის ფონდში გადაირიცხა. სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები დღემდე აგრძელებენ საქველმოქმედო ღონისძიებებს.

ჩატარებული ღონისძიებების ნუსხა:

1. ახალშენის ყოვლადწმიდა სამების მშენებარე სამონასტრო კომპლექსის გაწმენდით სამუშაოებში მონაწილეობა
2. ახალსოფლის წმიდა გიორგის ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობა
3. ცხემვანის დედათა მონასტრის სურსათ-სანოვაგით მომარაგება
4. დავით აღმაშენებლის წმიდა მარკოზ მახარებლის მშენებარე ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობა
5. აჭარისწყლის კარიბჭის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის გაწმენდით სამუშაოებში მონაწილეობა
6. აჭარაში წამებულთა დედათა და მამათა სახელობის ტაძრის გაწმენდით სამუშაოებში მონაწილეობა
7. სარფის დედათა მონასტრის გაწმენდით სამუშაოებში მონაწილეობა
8. თრუსოს ხეობაში არსებული სამონასტრო კომპლექსის აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობა

„ერთიანი ძალისხმევით ყველა სირთულეს დავძლევთ“

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

ლი ცენტრის არსებობა. ჩემი სურვილია, რომ როგორც საზღვარგარეთის ცნობილ უნივერსიტეტებში, სტუდენტი თავისი სამუშაო დღის ძირითადი ნაწილს საუნივერსიტეტო გარემოში ატარებდეს.

აღნიშნულ ეტაპზე უნივერისტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კრიტიკას ვერ უძლებს, რაც აუცილებლად უნდა შევცვალოს. დაგეგმილია რამდენიმე კორპუსის შეკეთება-რეაბილიტაცია და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება. ეს ყველაფერი მოამზადებს ნიადაგს უნივერსიტეტის ახალი წარმატებული ნაბიჯებისათვის.

რაც შეეხება ავტორიზაციასა და აკრედიტაციას, ამ ეტაპზე სწორედ ეს არის ჩვენი პირველი რიგის ამოცანა. 2016-2017 სასწავლო წელს უნივერსიტეტი განახლებული ავტორიზაციითა და აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებით უნდა შეხვდეს. მიმდინარე წელი მთლიანად დაეთმობა ამ ყველაფრისთვის მზადებას. მოგეხსენებათ, ავტორიზაცია ნიშნავს უნივერსიტეტის სტატუსის მოპოვებას, ჩვენს შემთხვევაში იგი უნდა შევინარჩუნოთ, მაგრამ ეს საკმაოდ რთულია, რადგან უნივერსიტეტმა რამდენიმე სტანდარტი უნდა დააკმაყოფილოს, კერძოდ საგანმანათლებლო, მატერიალური და ადამიანური რესურსი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მიმართ მოთხოვნის სტანდარტი გაზრდილია.

— ამ ეტაპზე ჩვენი უნივერსიტეტის ფინანსური რესურსი რამდენად იძლევა ამ საკითხების მოგვარების საშუალებას?

— სულ მალე სრულად გარემონტდება ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე ტექნოლოგიური ფაკულტეტი, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის ყოფილი შენობის მესამე-მეოთხე სართულები და რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ხუთსართულიანი კორპუსის სამი სართული. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ მიმართულებით ადგილობრივი ხელისუფლებაც გაგვიწევს დახმარებას. ჩვენი ვარაუდით, მიმდინარე წელს უნივერისტეტში სარემონტო სამუშაოები მთლიანად დასრულდება.

ადამიანურ რესურსის მხრივ ავტორიზაცია-აკრედიტაციისთვის საშიშროებას ვერ ვხედავ. ჩვენ მაღალი აკადემიური დონის, დიდი გამოცდილების მქონე პერსონალი გვყავს. ამიტომაც ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ ერთიანი ძალისხმევით ამ პროცესებს ღირსეულად გავივლით, მაგრამ ყველამ უნდა გავითავისოთ, რომ წარმატება ყველა სტრუქტურისა, თუ ყველა ორგანოს ერთიანი ძალისხმევით მიიღწევა. სწორედ მსგავს რეჟიმში ვმუშაობდით ჩვენ გასული აკრედიტაცია-ავტორიზაციის დროსაც, რამაც წარმატებით ჩაიარა. პროგრამული აკრედიტაციის დროს იქნება უცხოელ ექსპერტთა ჩართულობა, ამიტომ წელს ამ მხრივაც საკმაოდ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. თუმცა, დასაქმებული და წარმატებული კურსდამთავრებულების ოდენობიდან გამომდინარე, ჩვენივე კვალიფიციურ აკადემიურ პერსონალზე დაყრდნობით, დარწმუნებული ვარ, რომ აკრედიტაციის პროცესს წარმატებით გავივლით.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის უზრუნველყოფაა. ამ მიმართულებით უკვე მიმდინარეობს შეხვედრები და მოლაპარაკებები. ვიმედოვნებთ, ეს საკითხი მალე დადებითად გადაწყდება.

დასარეგულირებელია მოწვეულ პედაგოგთა არჩევის, სტუდენტთა საფასურის განმეორებით გადახდის, სწავლის მეთოდებისა და შეფასების სისტემის სრულყოფის საკითხი. ამ მიმართულებებით უკვე ვმუშაობთ და სექტემბრიდან ჩვენი სტუდენტები მრავალი სიახლის მომსწრენი გახდებიან.

— მიმდინარე წელს ჩვენს უნივერსიტეტს საიუბილეო— 80 წელი უსრულდება. ამ ხნის მანძილზე მან ღირსეული და რთული გზა განვლო. როგორ აღნიშნავს უნივერსიტეტი ამ თარიღს და ხომ არ აქვს ახლადარჩეულ რექტორის მოვალეობის შემსრულებელს რაიმე სიურპრიზები?

— ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი თარიღია. ამასთან დაკავშირებით 2015 წლის იანვარში რექტორის ბრძანებით შეიქმნა საიუბილეო კომისია, რომელსაც დაევალა ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმის შემუშავება. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი დროში უნდა გაიწეროს. მომდევნო კვირაში ვაპირებ საიუბილეო კომისიის წევრებთან შეხვედრას და ჩვენ უკვე დეტალურად გადავანაწილებთ შესასრულებელ სამუშაოებს და პასუხიმგებლობებს. თუმცა, თითოეული ღონისძიება, რომელიც მიმდინარე წელს უნივერსიტეტშია დაგეგმილი, სწორედ საიუბილეო თარიღისადმი არის მიძღვნილი. ჩემი აზრით, საზეიმო შეხვედრა, რომელიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე გაიმართება, სტუდენტთა და უნივერსიტეტის თანამშრომელთა სრული ჩართულობით უნდა შედგეს. რა თქმა უნდა, ჩვენ გვექნება სამეცნიერო კონფერენციები, გვეყოლება სტუმრები. მინდა ღონისძიებები ძირითადად უნივერსიტეტის ეზოში, გაშლილ სივრცეში გაიმართოს, რათა ყველას მიეცეს მონაწილეობის საშუალება, მასში უნდა ჩაერთოს მთელი ქალაქი და რეგიონი, რადგან ამ უნივერსიტეტს მრავალი თაობა აღუზრდია, რომელთაც თავისი წილი სიტყვა ღირსეულად უთქვამთ.

—ბატონო მერაბ, კმაყოფილი ხართ თუ არა მოპოვებული გრანტებით, საგარეო ურთიერთობებითა თუ სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან გაფორმებული თანაშრომლობის მემორანდუმებით?

— მოგეხსენებათ, ჩვენი უნივერსიტეტი გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მხრივ საქართველოს მასშტაბით მესამე ადგილზეა. რა თქმა უნდა სასურველია მეტი აქტიურობა როგორც პროფესურის, ასევე სტუდენტების მხრიდან. ცნობილია, რომ წელს რუსთაველის ფონდის მიერ გამოყენებითი და ფუნდამენტური მეცნიერებების მიმართულებით რამდენიმე გრანტი დაფინანსდა, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართულნი დოქტორანტებიც.

საკუთარი ხედვა მაქვს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან დაკავშირებით. ამის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ სამეცნიერო საქმიანობა, ჯერ კიდევ მე-5 კურსის სტუდენტმა, ნიკო ბერძენიშვილის კვლევით ინსტიტუტში დავიწყე, რაც მნიშვნელოვანი საფეხური იყო ჩემი მეცნიერად ჩამოყალიბების გზაზე.

კვლევითი ინსტიტუტების შემოერთებით უნივერსიტეტმა დიდი საგანძური შეიძინა. საჭიროა ამ პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენება და მისი მაქსიმალური ადაპტაცია სასწავლო პროცესში. მართალია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტები აქტიურად თანამშრომლობენ ფიტოპათოლოგიისა და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტთან, მაგრამ უფრო მეტი მუშაობა და ჩართულობაა საჭირო. აქ ყველა რესურსია იმისათვის, რომ ჩვენს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამება წარმატებით განხორციელდეს. ჩემივე სურვილია, რომ ამ ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლებმა ლექციების კურსები წაიყვანონ მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან. მნიშვნელოვანია ამ სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება უნივერსიტეტის მეტი წარმატებისათვის.

— ბატონო მერაბ, რექტორის რანგში რა რჩევას მისცემთ სტუდენტ-ახალგაზრდობას, რომლებიც მოტივირებულნი არიან სტუდენტური ცხოვრება შინაარსიანად გაატარონ და ამასთან, ხარისხიანი განათლება მიიღონ... აპირებთ თუ არა მათთან შეხვედრას?

— წლების მანძილზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ვხელმძღვანელობდი, რომლის მთავარ ფუნქციას სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის მონიტორინგი წარმოადგენდა. ეს კი ძირითადად სტუდენტთა თუ პროფესორთა გამოკითხვით და სასწავლო პროცესზე დაკვირვების გზით ხორციელდებოდა. სტუდენტები რეგულარულად მონაწილეობდნენ ამ გამოკითხვებში და ხშირად, მათ მიერ დასმული საკითხები, აბსოლუტურად ობიექტურიც გახლდათ. ჩვენ ვცდილობდით რეაგირება მოგვეხდინა ამა თუ იმ პრობლემაზე. თუმცაღა, ჩვენი სამსახურის უფლებები მხოლოდ იმის საშუალებას იძლეოდა, რომ რეკომენდაცია მიგვეცა ადმინისტრაციისათვის. გადაწყვეტილების მიღება კი, რა თქმა უნდა, ჩვენს კომპეტენციებს აღემატებოდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ უკეთ ვიცი ის პრობლემები, რაც სტუდენტებს და ზოგადად უნივერსიტეტს აწუხებს. ეს ეხება სასწავლო პროცესს, პროცესის ორგანიზებულობას, პროფესორ-მასწავლებლებს, განათლების ხარისხს, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას თუ სხვას. შესაბამისად, როცა ეს ფაქტები ჩემთვის ცნობილია, მე უფრო გამიადვილდება მუშაობა. სტუდენტებს ვუსურვებ, რომ მეტად აქტიურნი, დაინტერესებულნი და მოტივირებულნი იყვნენ.

ფაკულტეტების მიხედვით ვაპირებ სტუდენტებთან შეხვედრას. მათ მიერ დასმული თითოეული შეკითხვა, წამოჭრილი საკითხი თუ პრობლემა, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. შევეცდები თითოეულ სტუდენტს შესაძლებლობის ფარგლებში პრობლემა მოვუხსნა. მინდა, რომ მათთვის უნივერსიტეტში მშობლიური გარემო იყოს, ხოლო ჩვენი სახით კი იმ ადამიანებს ხედავდნენ, რომლებიც მათთვის ზრუნავენ და შრომობენ, იბრძვიან მათი კეთილდღეობისათვის.

— როგორია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლადარჩეული რექტორის მოვალეობის შემსრულებლის სამომავლო გეგმები, მიზნები და ამოცანები?

— ჩვენ მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებებს არ ვგეგმავთ. ამის დრო ახლა ნამდვილად არ არის. თუმცა მინდა, რომ ზოგიერთი სამსახური მეტად გაძლიერდეს. მაგალითად, საგარეო ურთიერთობათა სამსახური, რომელიც უნივერსიტეტის მნიშვნელოვანი ერთეულია. ასევე მაქვს ჩემი შეხედულება, თუ როგორ უნდა მუშაობდეს უნივერსიტეტში უცხო ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი. თუმცა, ჩემი კონკრეტული ამოცანაა, მიმდინარე წელი დავუთმოთ ავრტორიზაციისა და აკრედიტაციის წარმატებით გავლისთვის მზადებას.

გარკვეული სამუშაოები ჩატარდება სწავლა-სწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემის დახვეწასთან დაკავშირებითაც.

ძალიან მინდა გაძლიერდეს ჩვენი ბიბლიოთეკა. აღვნიშნავ, რომ სტუდენტთა პრეტენზიებმა იკლო, დღეს მათ სხვა გარემოში უწევთ წიგნთან მუშაობა, მაგრამ ცხადია, რომ სახელმძღვანელოების დეფიციტი მაინც არის. ჩვენ მაქსიმალურად ვიზრუნებთ, რომ სილაბუსში მითითებული ლიტერატურა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს.

რა ხდება უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობაში?

სტუდენტური თვითმმართველობის საკითხი ყოველთვის იყოს სტუდენტების ყურადღების ცენტრში, თუმცა ბოლო პერიოდში მისი ყურადღება საზოგადოებამ და ადგილობრივმა ტელევიზიებმაც მიიქცია.

5 მაისისთვის დაგეგმილი არჩევნების სამზადისი, საარჩევნო კომისიამ დროებით შეაჩერა. 1 მაისს საერთო კრების ჩატარებაა დაგეგმილი, რის საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილება ახალი ცესკოს შექმნის ან არსებულის მუშაობის გაგრძელების შესახებ.

გთავაზობთ სტუდენტური მოძრაობების წევრების შეხედულებებს შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, რომელთა მიმართაც დასმული შეკითხვა მდგომარეობს შემდეგნაირად:

— როგორ შეაფასებთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობაში შექმნილ სიტუაციას და როგორ შეიძლება არსებული პრობლემების აღმოფხვრა:

ბესო გოგოტიშვილი (თვითმმართველობის წევრი):

„ჯერჯერობით სიტუაცია არის სტაბილური. ჩვენ გადავწყვიტეთ ერთიანი პოზიციის დაფიქსირება, ანუ კრებ-

ბის მოწვევა, რომელიც შეიკრიბება პარასკევს, 1 მაისს და მიიღებს გადაწყვეტილებას ახალი ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნის შესახებ. ცესკო აიღებს უფლებამოსილებებს, განსაზღვრავს კვოტებს და აირჩევენ თვითმმართველობის ახალ წევრებს, რაც აღმოფხვრის ლეგიტიმაციის საკითხთან დაკავშირებულ პრობლემებს. კრებაზე მოხდება ცესკოს რამდენიმე ჯგუფის შეთავაზება საინიციატივო ჯგუფების მიერ და საერთო კრება აირჩევს საუკეთესოს. ახალარჩეულ წევრებთან დაკავშირებით აღარ იქნება ზედმეტი კითხვა სტუდენტების, ადმინისტრაციის და არასამთავრობოების მხრიდან“.

გიორგი ბაგრატიონი (სტუდენტური მოძრაობა „ალტერნატივას“ წევრი):

„თვითმმართველობაში შექმნილი პრობლემები არ არის კონკრეტული პიროვნებების მიერ გამოწვეული. ვფიქრობ, რომ ეს არის სისტემური პრობლემა. გამოიკვეთა გაუმართავი დებულების პრობლემაც, რამაც ჩიხში შეიყვანა თვითმმართველობა და ის აღმოჩნდა უუნარო. ორი მცდელობის მიუხედავად, არ შეიკრიბა უმაღლესი ორგანო, რომელიც არის გადაწყვეტილების მიმღები. სწორედ ამის საფუძველზე, ჩერდება თვითმმართველობის მუშაობა და თავმჯდომარეს დებულებით გათვალისწინებული არანაირი ბერკეტი გააჩნია პრობლემის აღმოსაფხვრელად. სწორედ ამიტომ, მან თვითმმართველობის ყველა წევრისთვის სტატუსის შეწყვეტა გადაწყვიტა. ამავდროულად, თავმჯდომარემ ერთპიროვნულად მიიღო დებულება, რომელიც წესით თვითმმართველობის წევრების 2/3-ს უნდა მიეღო. შესაბამისად, ერთპიროვნულად მიღებული დებულებით ჩატარებული არჩევნები არასწორია. პრობლემის აღმოფხვრა შესაძლებელია სისტემის ლიკვიდაციით, დამფუძნებელი კრების შეკრებით და ახალი სისტემის შექმნით, რომელსაც არანაირი კავშირი ექნება ძველთან“.

ზურაბ მესხიძე (ბსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე):

„ამ ეტაპზე თვითმმართველობაში შექმნილ სიტუაციას შევაფასებდი როგორც დემოკრატიულ პროცესს. წინა წლებში იყო ავტორიტარული რეჟიმი, მხოლოდ თავმჯდომარე ნიშნავდა და ღებულობდა გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად. ეს რომ არ გაგრძელდეს და მომავალშიც დავტოვოთ გამართული სისტემა, სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ შევიკრიბოთ კიდევ ერთხელ, ვცადოთ... იმიტომ, რომ შეკრების სამი მცდელობა იყო, თუმცა უშედეგოდ. ახლა კი ვფიქრობთ, შეკრება შედგება, იმდენად რამდენადაც თვითმმართველობის წევრებს გააზრებული აქვთ შექმნილი სიტუაცია, შეიკრიბებიან და იმსჯელებენ იმ თე-

მებზე, რომ უფრო განვითარებული და დემოკრატიული სტრუქტურა შეიქმნას, მოხდეს უფლებამოსილებების დელეგირება“.

გვანცა თურმანიძე,
ფინანსების სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტი

სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ელექტრონული მმართველობა: მიღწევები და პერსპექტივები“

„ელექტრონული მმართველობა: მიღწევები და პერსპექტივები“ - ამ სახელწოდებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. სამეცნიერო სესიაში ქართველი, მოლდაველი და აზერბაიჯანელი პროფესორები მონაწილეობდნენ. მომხსენებლებმა საქართველოში ელექტრონული მმართველობის დამკვიდრების საკითხებზე, განვითარების პროცესში არსებულ პრობლემებსა და გადაჭრის გზებზე იმსჯელეს. თემატიკა ითვალისწინებდა როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნული გამოცდილების წარმოჩენას. კონფერენცია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და საქართველოს პოლიტოლოგიის ინსტიტუტის და ორგანიზებით ბათუმში მეორედ ჩატარდა.

მან-სან-ჯანის გუნდებს შორის შეჯიბრი „მხიარული ბსუ“ ჩატარდა

უნივერისტეტის სააქტო დარბაზში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მან-სან-კანის შიდა საფაკულტეტო შეჯიბრი „მხიარული ბსუ“ ჩატარდა. პირველობა ტექნოლოგიური ფაკულტეტის გუნდს ერგო. შეჯიბრის საუკეთესო მონაწილეებით საუნივერსიტეტო გუნდი დაკომპლექტდა, რომელიც საქართველოს „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის“ თამაშების ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან მემორანდუმი გაფორმდა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს შორის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტი მხარეებს შორის შემოქმედებითი მუშაობისა და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ - ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას, სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკისათვის ხელშეწყობას, ცალკეული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში თანამშრომლობასა და ერთობლივი პროექტების შემუშავება - განხორციელებას ითვალისწინებს.

ჯარნეგის გაცვლითი პროგრამის პრეზენტაცია

საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების საქართველოს ოფისის - დასავლეთ NIS-ის და სამხრეთ კავკასიის პროგრამების მენეჯერმა ალექსეი ხარლამოვმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს კარნეგის გაცვლითი პროგრამა წარუდგინა. პროგრამა ითვალისწინებს 4-თვიანი კვლევითი პროექტების დაფინანსებას სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით. წარმატებული აპლიკანტები სტიპენდიას 2015-2016 სასწავლო წლისთვის მიიღებენ და კვლევებს აშშ-ს პრესტიჟულ სასწავლებლებში აწარმოებენ.

მიმდინარე წლის აპრილიდან ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი ყოველთვიურად შემოგთავაზებთ იმ ღონისძიებათა ნუსხას, რაც სამეცნიერო ცენტრის ფარგლებში ჩატარდება.

გაზეთი „ბათუმის უნივერსიტეტი“ სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრს ბევრი საინტერესო ღონისძიების ორგანიზებასა და წარმატებებს უსურვებს.

9 აპრილი - ტრაგედია, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა მოუტანა

1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენები გაიხსენეს და ამ დღის ისტორიულ მნიშვნელობაზე ისაუბრეს უნივერსიტეტის ფოიეში შეკრებილმა სტუდენტებმა და ლექტორ-მასწავლებლებმა. ღონისძიება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსმა ბატონმა ედიშერ ჩავლეიშვილმა გახსნა, რომლის შემდეგაც ისტორიკოსი მერაბ მეგრელიშვილი გამოვიდა სიტყვით. 9 აპრილის მონაწილემ, ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორმა ზებურ ავალიანმა სტუდენტებს უამბო იმ ვითარებისა და ემოციების შესახებ, რაც 1989 წლის 9 აპრილს სუფევდა მთავრობის სასახლის წინ. ტრადიციულად, დამსწრე საზოგადოებამ კიდევ ერთხელ იხილა 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების ამსახველი ფოტოქრონიკა. აუდიტორიის წინაშე საკუთარი ლექსით წარსდა უნივერსიტეტის ისტორიის სპეციალობის II კურსის სტუდენტი ლია გობაძე.

„ჩემო საქართველო “

რადგანაც, რომ მტერმა ღვინის
დამიცალა ფიალა,
მიტომ მტანჯავს საქართველო,
შენი ცრემლი, იარა.
ცხრა აპრილის ტრაგედია
და აგვისტოს ომები,
ვინ მოჰკვეთა ქართლის დედას
აფხაზეთი, ოსეთი.
საქართველო ჯალათებმა
დაგიტოვეს იარა,
ერმა მაინც მშვიდობისა
დროშა აგიფრიალა.
კვლავ ავანთოთ გვიხმობს ერო
გუმბათების ზარები,
რადგანაც, რომ მათი ჩაგვიქრეს,
ანთებული სანთლები.
ერი ქართლის, ერი მართლის
ბევრის ტანჯვა ნახულია,
დიდგორზე და მარაბდაზე
სვეტად გადმოსახულია.
გოლგოთაზედ აიტანე
ტანჯვით სული მაღალია,
შენი კალთის ნაპრალები
ცრემლით ჩამონაღვარია.
არასოდეს დაუკარგავს
ქართველს გულში იმედია,
რადგან დედა საქართველოს
წილბედითი, წილხვედრია.
ჩვენი ლოცვით, მუდამ რწმენით,
ზეციერი აქ მუდამ არს,

ხელით ცისკენ აპყრობილი,
შეგღაღადებთ ჩვენს მუდარას.
ღმერთო! ისევ ქართლის დედას
ნუ ჩააცმევ შავ სუდარას.
სიცოცხლეა - ჩემი მსხვერპლი,
კრწანისი კი - გმირთა მდელო,
სამშობლოა ჩემი -კერპი,
კერპი - ჩემი საქართველო.

შეკრებილებმა დაღუპული გმირების უკვდავსაყოფად დაანთეს სანთლები და ზღვის პირა პარკში ყვავილებით შეამკეს მემორიალი.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი, სტუდენტთა მხარდაჭერის და მომსახურების სამსახური, სტუდენტური თვითმმართველობა.

სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი

მოგზაურობა საქართველოს ისტორიულ რუკაზე (სამეგრელო, გურია, აჭარა)

სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის, სტუდენტთა მხარდაჭერისა და მომსახურების სამსახურის, ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ერთობლივი პროექტის „მოგზაურობა საქართველოს ისტორიულ რუკაზე (სამეგრელო, გურია, აჭარა)“ ფარგლებში, 24 აპრილს ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტში „ევროპული აკადემია“ სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.

მომხსენებლებმა წარმოადგინეს თემები ისეთ მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებზე, როგორიცაა: „აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული სამეგრელო ლაზეთის ისტორიული მასალები“ (მომხსენებელი — პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი), „გურია-სამეგრელოს ეპარქიის ისტორიიდან“ (მომხსენებელი — ისტორიის დოქტორი მერაბ მეგრელიშვილი), „სამეგრელოოდიშის სამთავროს ისტორია“ (მომხსენებელი — ისტორიის სპეციალობის III კურსის სტუდენტი თამაზ დავითაძე), „კოლხური კულტურის ძეგლები სამეგრელოდან“ (მომხსენებელი — დოქტორანტი გურამ ჩხატარაშვილი). კონფერენცია კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

კონფერენციის შემდგომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის წევრები და ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის თვითმმართველობის წევრები ერთმანეთს შეხვდნენ. სტუდენტებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილებები, ისაუბრებს მათ წინაშე არსებულ პრობლემებსა და გადაჭრის მეთოდებზე, ასევე დასახეს პროექტები და შეთანხმდნენ სამომავლო თანამშრომლობაზე.

მოგზაურობა სამეგრელოში დადიანების ისტორიული სასახლის დათვალიერებითა და სამახსოვრო ფოტოების გადაღებით დასრულდა.

სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი

„ქვათა ღაღადი“

ძეგლებისა და ისტორიული ადგილების დაცვის საერთაშორისო დღის კვირეულის ფარგლებში, სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით 24 აპრილს გაიმართა ესეების კონკურსი სახელწოდებით „ქვათა ღაღადი “. მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ ესაუბრათ და საკუთარი აზრი დაეფიქსირებინათ ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თანამედროვე პრობლემებზე.

ღონისძიება უკვე ორი წელია რაც ტარდება და მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. წელს 50-მდე ახალგაზრდამ გამოთქვა სურვილი. ესეების კონკურსში მონაწილეობდა როგორც ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები, ასევე ქ. ბათუმის საჯარო და კერძო სკოლების უფროსკლასელები.

ღონისძიების მიზანია ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას, ისტორიული და კულტურული-მემკვიდრეობის საკითხების შესწავლა და მათი პოპულარიზაცია.

კონკურსის შედეგები რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი, მათ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისგან შემდგარი ჟიური შეაფასებს. გამარჯვებული 5 ესეს ავტორი დაჯილდოვდება წიგნებითა და ერთდღიანი ისტორიულ-შემეცნებითი ტურით მცხეთაში, სადაც მოინახულებენ სვეტიცხოველსა და ჯვრის მონასტერს.



უნივერსიტეტში ლიტერატურის კლუბი ფუნქციონირებს

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, მიმდინარე სასწავლო წელს, ჩამოყალიბდა ლიტერატურის კლუბი, რომელსაც ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული

პროფესორი, ნანა ტრაპაიძე ხელმძღვანელობს. კლუბი უკვე 7 თვეა მუშაობს. შეხვედრები იმართება ყოველ კვირას, 14.00 სთ-ზე. ყოველკვირეულ მუშაშეხვედრებს კლუბის ხელმძღვანელი მართავს.

ინფორმაცია გეგმიური და საჯარო შეხვედრების შესახებ კლუბის ფაცებოოკ—ის გვერდზე (ლიტ.კლუბი—ბსუ) თავსდება. კლუბის მიზანია შექმნას არაფორმალური განათლების პრაქტიკა, მოიზიდოს ჰუმანიტარული ცოდნით დაინტერესებული სტუდენტები მათი ინტელექტის, კრიტიკული და სამოქალაქო აზროვნების განვითარებისათვის. კლუბის მუშაობაში აქტიურად არიან ჩართულები არა მხოლოდ ჰუმანიტარულო ფაკულტეტს სტუდენტები.

კლუბმა არა ერთ საინტერესო სტუმარს უმასპინძლა როგორც ბათუმის, ისე ქვეყნის სხადასხვა უნივერსიტეტიდან:

დათო ბარბაქაძე, მწერალი, ფილოსოფოსი, მთარგმნელი (სამხატვრო აკადემია). თემა: პოეზია და ფილოსოფია;

გიორგი მელიქაძე, განათლების ადმინისტრირების მაგისტრი, ილიას უნივერსიტეტი, თემა: განათლება, როგორც სოციალური გარდაქმნის მექანიზმი;

ხათუნა თავდგირიძე, გრ. რობაქიძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თემა: ,,არქაული და თანამედროვე მითოსური აზროვნება სოციალურ და პოლიტიკურ დისკურსში";

გიორგი კეკელიძე, მწერალი, ლიტერატური —ლიტერატურა და მოქალაქე

ლევან ხალვაში, ენათმეცნიერი, ბსუ-ის ასისტ. პროფესორი, თემა: მხატვრული ქმნილების ალეთეური ღირებულება;

ნანა ცეცხლაძე, ბსუ, ასოც. პროფესორი, მზია ხახუტაიშვილი,ბსუ-ის ასისტ. პროფესორი. თემა: ქართული ენის ბუნება.

მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე დაგეგმილია შემდეგი საჯარო ლექციები:

ალეკო კაშია, მოწვეული მასწავლებელი, ბსუ, თემა: ქართულ—აღმოსავლური კულტურულ—ესთეტიკური დიალოგის რამდენიმე ასპექტი. 3. 05.15. 14. სთ. 44-ე აუდიტორია;

ლალი ანთიძე, ბსუ—ის ასოც. პროფესორი, თემა: სიყვარულის ხელოვნება, 10.05. 15; 14. სთ. 44-ე აუდიტორია;

ლალი ზაქარაძე — რუსული სული ნაციონალიზმსა და იმპერიალიზმს შორის. 24. 05. 15; 14. სთ. 44-ე აუდიტორია.

განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა გიორგი ხეოშვილის, ფილოსოფიის დოქტორის, ტექნიკური უნივერსიტეტის ასოც. პროფესორის საჯარო ლექცია თემაზე — ადამიანური ღირსება, როგორც ფილოსოფიური კატეგორია.

დაგეგმილია ასევე:

1. მწერლისა და ფილოსოფოსის, დათო ბარბაქაძის საჯარო ლექცია თემაზე: პოეზია, როგორც პასუხებზე კითხვების დასმის ხელოვნება. 31 მარტს 14.00—ზე 32—ე აუდიტორია;

2. ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, კოკა ბრეგაძის საჯარო ლექციები: თემა I. „ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფია და მისი მნიშვნელობა დღეს ეგზისტენციალური და სოციალური თვალსაზრისით"; თემა II. „რელიგიის მოდერნული და ლიტერატური მოდერნისტული გაგება რომანტიზმში (გერმანული რომანტიზმის მიხედვით)", 18— 19 ივნისი, 12.00 სთ.

გენერალური კონსული ბათუმში იასინ თემიზქანი უნივერსიტეტს ეწვია

თურქეთის გენერალური კონსული ბათუმში იასინ თემიზქანი ბათუმის შოთა რუსთაველის სხელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელი უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს მერაბ ხალვაშს შეხვდა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ რექტორის მოადგილე ნათია წიკლაშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები და საგარეო ურთიერთობათა სამსახურის მთავარი სპეციალისტი თამარ მაჭუტაძე. მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. დაიგეგმა ერთობლივი სასწავლო-სამეცნიერო პროექტების, საზაფხულო სკოლებისა და გაცვლითი პროგრამების განხორციელება.



9 აპრილი – ტრაგიკული და ამაღლებული

9 აპრილი... უაღრესად ტრაგიკული და ამაღლებული თარიღი საქართველოს უახლესი ისტორიისა. 9 აპრილზე ბევრი დაიწერა და კიდევ ბევრი დაიწერება. ქართველი ერის ცოცხალი მეხსიერება კი სამარადჟამოდ შეინახავს იმ დღეების ქრონიკასა და სამშობლოსათვის თავგანწირულთა წმინდა სახელებს.

XX ს-ის 80-იანი წლების მეორე ნახევარი მნიშვნელოვანი ცვლილებებით აღინიშნა. საბჭოთა კავშირში მიმდინარე „გარდაქმნებისა“ და „საჯაროობის“ კურსმა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მკვეთრი აღმავლობა განაპირობა საქართველოშიც. ეროვნული მოძრაობის მესვეურობა თავისთავზე აიღეს ახლადშექმნილმა თუ აღდგენილმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა: „ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოებამ“, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ, საზოგადოება „მემორიალმა“ და სხვებმა.

ქართველმა ახალგაზრდებმა, ინტელიგენციამ, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უპირატესად ზრუნვა დაიწყეს ეროვნული ფასეულობების გადასარჩენად. ეროვნული ძალები უპირისპირდებოდნენ ტრანსკავკასიის მაგისტრალისა თუ ხუდონჰესის მშენებლობებს, რაც რადიკალურად შეცვლიდა ეკოლოგიურ ბალანსს რეგიონში; აპროტესტებდნენ საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებში ქართული მიწების უკანონო განიავებისა თუ კულტურის ძეგლთა დაზიანების ცალკეულ ფაქტებს; წინ აღუდგნენ მოსკოვის იმპერიული ხელისუფლების სურვილს შეენარჩუნებინა საბჭოთა სახელმწიფოს ერთიანობა და კონსტიტუციიდან ამოიღო ის პუნქტი, რომელიც რესპუბლიკებს საბჭოთა კავშირის დატოვების შესაძლებლობას აძლევდა.

საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის გამოქვეყნებას თან მოჰყვა საპროტესტო მოძრაობა საქართველოში. 1988 წლის 12 ნოემბერს ჩატარდა არნახული, 100 ათასიანი აქცია თბილისში, რომელიც დასრულდა იპოდრომზე მიტინგით. მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმული იყო აუცილებელი მოთხოვნები: დემონსტრაციებისა და მსვლელობების თავისუფლება, საკონსტუტიციო ცვლილებების დაუშვებლობა და ა. შ. საპროტესტო გამოსვლები გაგრძელდა შემდეგ დღეებშიც. საპროტესტო აქციებს ხელმძღვანელობდნენ და მათში აქტიურად მონაწილეობდნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები: ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, გ. ჭანტურია, ზ. ჭავჭავაძე, ი. სარიშვილი, თ. ჩხეიძე, ი. წერეთელი და სხვები.

საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობასთან ერთად, ავტონომიურ რეგიონებში გამოცოცხლდნენ სეპარატისტული ძალები, რომლებმაც ჩინებულად ისარგებლეს რუსულ რეაქციულ მასმედიასა და ინტელიგენციის გარკვეულ წრეებში შექმნილი ანტიქართული განწყობით და საბჭოთა ხელისუფლების ყველა ცოდვა და თუ დანაშაული ქართველ ერსა და საქართველოს მიაწერეს.

სეპარატისტების ანტიქართული განწყობილება ყველაზე ნათლად გამოვლინდა გუდაუთაში სოფელ ლიხნის თავყრილობაზე 1989 წლის 18 მარტს. ლიხნის ყრილობას ესწრებოდნენ აფხაზეთის ასსრ აფხაზი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკებიც. ე. წ. „ლიხნის მიმართვაში“ ისტორიული ფაქტების გაყალბებით მოცემული იყო საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობის რიგი საკითხები. სეპარატისტები ითხოვდნენ საკავშირო მთავრობის დახმარებას, რუსეთის ფედერაციაში შესვლას და ა. შ.

„ლიხნის წერილს“ ქართული საზოგადოების მძაფრი რეაქცია მოჰყვა. 25 მარტს თბილისში, ვაკის პარკში გაიმართა დიდი მიტინგი, რომელმაც საქართველოს ხელისუფლებას მოსთხოვა მიმდინარე მოვლენების ობიექტურად გაშუქება და შეფასება, გადამწყვეტი ზომების მიღება სეპარატისტთა უკანონო მოქმედებების აღსაკვეთად. ქართველმა ისტორიკოსებმა დასაბუთებული პასუხი გასცეს „ლიხნის წერილს“, თბილისში, ქუთაისში, ბათუმში მიმდინარეობდა მსჯელობა ამ საკითხებთან დაკავშირებით. საქართველოს ოფიციალური ხელისუფლება ცდილობდა საკუთარი ძალებით მოეწესრიგებინა ვითარება, მაგრამ საერთოდ გაუბედავად მოქმედებდა. 30 მარტს სოხუმში ჩავიდნენ საქართველოს პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები: ჯ. პატიაშვილი, გ. ვაჩნაძე ნ. ფოფხაძე, ბ. ნიკოლსკი, ო. ჩერქეზია. ასევე ჯ. პატიაშვილი შეხვდა ეროვნული მოძრაობის ლიდერებს და სთხოვა მათ არ გაემწვავებინათ დედაქალაქში პოლიტიკური სიტუაცია, მაგრამ თბილისში უკვე 4 აპრილიდან დაიწყო მიტინგები, რამაც საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა აიძულა შედარებით „რადიკალური“ ნაბიჯები გადაედგა; 5 აპრილს სოხუმში ჩატარდა პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელსაც ჯ. პატიაშვილიც ესწრებოდა. პლენუმმა საოლქო კომიტეტის მდივნის თანამდებობიდან გაათავისუფლა ბ. ადლეიბა (მან ხელი მოაწერა „ლიხნის წერილს“) და მის ნაცვლად აირჩია ვლ. ხიშბა, შედარებით პროქართული განწყობის პარტიული მუშაკი; სოხუმში გამოქვეყნდა აფხაზი და ქართველი ინტელიგენციის ერთობლივი წერილი არსებული გაუგებრობის დაუყოვნებლივ მოწესრიგების მოთხოვნით, მაგრამ ამას უკვე აღარ შეეძლო შეეჩერებინა მასობრივი საპროტესტო მოძრაობა.

4 აპრილს ჯერ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში „პრესკლუბის“ ინიციატივით მოეწყო მიტინგი, რომელზეც სიტყვით გამოვიდა ზ. გამსახურდია; იმავე საღამოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გამართულ შეხვედრაზე სტუდენტებმა, ინტელიგენციამ ხელისუფლებას კატეგორიულად მოსთხოვეს აფხაზეთის პრობლემების მოწესრიგება: იმავე 4 აპრილს მთავრობის სახლთან დაიწყო ახალი მიტინგი, რომელშიც 10 ათასამდე კაცი მონაწილეობდა, ის გაგრძელდა მეორე დღესაც. ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა შიმშილობა დაიწყო. მიტინგზე მიღებული რეზოლუცია აფხაზეთის საკითხის მოგვარებასთან ერთად მოითხოვდა საქართველოს გამოსვლას საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან და დროებითი მთავრობის შექმნას, ავტონომიურ ფორმირებების გაუქმებას, აცხადებდა ეროვნულ დამოუკიდებლობას.

5-6 აპრილს თბილისში მიტინგი გრძელდებოდა. მასში სულ უფრო აქტიურად ერთვებოდნენ დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, ინტელიგენცია, ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურეები. მიტინგებს ხელმძღვანელობდნენ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული“, „ეროვნული დამოუკიდებლობის“ და სხვა პარტიები. მიტინგზე მოწოდებები და ლოზუნგები სულ უფრო და უფრო რადიკალური ხდებოდა: „საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, „საქართველოს გამოსვლა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან“, „საქართველოში გაეროს ჯარების შემოყვანა და ა. შ. მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოში დაიწყებოდა საყოველთაო ეროვნული გაფიცვა, ეროვნული დაუმორჩილებლობის და შიმშილობის აქციები.

საღამოს მიტინგის მონაწილეთა დაახლოებით 2000 კაციანმა ჯგუფმა საქართველოს ტელემაუწყებლობის შენობასთან მოითხოვა მიტინგების პირდაპირი ტელეტრანსლაცია. 7-8 აპრილს დედაქალაქში მიმდინარე მიტინგებში მონაწილეთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. მიიღეს მიმართვები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, უცხოეთის ქვეყნების ლიდერებისადმი, რომ მათ ცნონ XX ს. ოციან წლებში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელდა აგრესიის ფაქტი, ოკუპაცია და ანექსია.

იმ დროს საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელობა (სსრკ პრეზიდენტი გ. გორბაჩოვი და საგარეო საქმეთა მინისტრი ე. შევარდნაძე) თანმხლებ პირებთან ერთად ინგლისში იმყოფებოდნენ: სახელმწიფო დელეგაციის მოსკოვში დაბრუნებისთანავე, პირდაპირ აეროპორტის დარბაზში არაოფიციალური შეხვედრის დროს მ. გორბაჩოვმა ე. შევარდნაძეს და ვლ. რაზუმოვსკის თბილისში გამგზავრება და მდგომარეობის მოწესრიგება დაავალა, მაგრამ ისინი 8 აპრილს თბილისში არ ჩამოსულან, რადგან საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელობა ამის აუცილებლობას არ გრძნობდა.

თბილისში კი, ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. შეიქმნა ეროვნულ გამათავისუფლებელი კომიტეტი, დაიწყო ფულადი სახსრების შეგროვება, ბარიკადების აგება, რადგან ხმა გავრცელდა, რომ შსს სპეციალურ ქვედანაყოფებს მიცემული აქვთ მითითება მიტინგის დაშლის შესახებ. მიუხედავად რადიკალური ლოზუნგებისა თუ მოთხოვნებისა თბილისში მიმდინარე მიტინგები მშვიდობიანი ხასიათისა იყო და როგორც შემდეგში აღინიშნა: „არ არსებობდა არანაირი სამართლებრივი საფუძველი და აუცილებლობა არმიის ნაწილებით მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მისაღებად.“

მიტინგებზე ზემოქმედება სცადა საქართველოს ოფიციალურმა ხელისუფლებამ, ტელევიზიით გადაიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ო. ჩერქეზიას, ცკ-ის პირველი მდივნის ჯ. პატიაშვილის მიმართვები. 8 აპრილს გაიმართა საქართველოს პარტიული აქტივის კრება, რომელსაც ესწრებოდნენ საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენ. ი. კოჩეტოვი და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გენერალი ი. როდიონოვი. 8 აპრილსავე მიტინგის მონაწილეებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით თბილისში სამხედრო ძალის დემონსტრირებაც განხორციელდა, ქალაქის ქუჩებში ჩაიარა ჯავშან-ტექნიკამ, ხოლო თავზე გადაიფრინეს სამხედრო ვერტმფრენებმა, რამაც პირუკუ შედეგი გამოიღო და მთელი ქალაქი მიტინგზე გამოვიდა. ამ დროისათვის საბჭოთა კავშირის უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ უკვე მიღებული იყო მიტინგების ძალით დაშლის გადაწყვეტილება. თბილისში შემოიყვანეს სპეციალური სამხედრო-სადესანტო ნაწილები ჯავშან-ტრანსპორტიორებით. ქართულ მილიციას ფაქტიურად უნდობლობა გამოუცხადეს. იმავე დღეს სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად მოეწყო ქართველი ქალების მსვლელობა ჯ. პატიაშვილის სახლისაკენ, მაგრამ მათთან შესახვედრად არავინ გამოსულა. 9 აპრილს, შუაღამისას მიტინგზე იმყოფებოდა დაახლოებით 10 კაცზე მეტი. მგზნებარე მოწოდებები ცვლიდა ერთმანეთს, ხალხი ანთებული სანთლებით ლოცულობდა, იყო ცეკვაც, სიმღერაც... მომიტინგეებთან მობრძანდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე მიმართვით, რომ საფრთხე რეალური იყო... ასეთ დრამატულ ვითარებაში, სიჩუმეში გაისმა უსინათლო გოგონების სიმღერა „დაუკარით“... 4 საათზე დაიწყო მიტინგის დაშლა. ჯერ ტანკებმა ჩაიარეს, შემდეგ კი სადესანტო ბარებითა და ხელკეტებით შეიარაღებული ჯარისკაცები გამოჩნდნენ, მთელი სისასტიკით დაიწყო დარბევა. მიტინგის მონაწილეთა წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა მომწამვლელი გაზი. მთავრობის სახლის წინ ყველა გასასვლელი იყო ბლოკირებული, გარდა ერთისა ქაშუეთის ეკლესიის მიმდებარე ვიწრო ქუჩისა. ჯარისკაცები ალყაში აქცევდნენ მომიტინგეებს და უმოწყალოდ სცემდნენ ხელკეტებით, ნიჩბებით, აკრძალული ქიმიური ნივთიერებების გარდა გამოყენებული იყო ცეცხლსასროლი იარაღიც.

9 აპრილს დღისით დაძაბულობა გრძელდებოდა. შემოღებული იქნა საგანგებო წესები და კომენდანტის საათი.. ოფიციალური მონაცემებით, თბილისში 9 აპრილს ღამეს და კომენდანტის საათის შემოღების შემდეგ განვითარებული მოვლენებისას დაიღუპა 21 ადამიანი (მათი უმრავლესობა ქალი, 16-დან 70 წლამდე); სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს მიმართა 4000-ზე მეტმა მოქალაქემ, იყვნენ მოწამლულები, დაჩეხილები, დაჭრილები.

თბილისში გაიფიცნენ საწარმოები, სასწავლო დაწესებულებებში შეწყვეტილი იყო სწავლა. დედაქალაქი და მთელი საქართველო დაღუპულებს გლოვობდა.

თბილისში ჩამოფრინდნენ ე. შევარდნაძე და ვლ. რაზუმოვსკი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ინტელიგენციასთან შეხვედრის დროს მათ სცადეს ტრაგიკულ მოვლენებზე პასუხისმგებლობა მთლიანად ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებისათვის დაეკისრებინათ.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა შეეცადა შეესუსტებინა ტრაგიკული მოვლენებით გამოწვეული უარყოფითი რეზონანსი მსოფლიოში. „ტასს“-ის კომენტარები დეზინფორმირებული და არაფრისმთქმელი იყო, მაგრამ მსოფლიომ მაინც გაიგო ყველაფერი, როგორც საქართველოს საინფორმაციო წყაროების, ისე რუსეთის დემოკრატიული ორიენტაციის ჟურნალისტებისა და ადამიანის უფლებების დამცველთა საშუალებით თუ საკუთარი კორესპოდენტებისაგან. თბილისში მოვლენების გასარკვევად და თანაგრძნობის გამოსახატავად ჩამოვიდნენ მ. გორბაჩოვისადმი ოპოზიციურად განწყობილი ბ. ელცინი, აკადემიკოსი ანდრეი სახაროვი, მოგვიანებით დედა ტერეზა. დაზარალებულებს ეხმარებოდნენ ექიმები საფრანგეთიდან, გერმანიიდან, აშშ-დან.

ქართული საზოგადოებრიობის მოთხოვნით შეიქმნა 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების შემსწავლელი კომისია (თავჯდომარე თ. შავგულიძე), ხოლო საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე საქართველოს დეპუტაციის მოთხოვნითა და ყრილობის დემოკრატიული ნაწილის მხარდაჭერით ასევე შეიქმნა კომისია ანატოლი სობჩაკის თავმჯდომარეობით. ზემოხსენებულ კომისიათა ობიექტური მუშაობის შედეგად საზოგადოებას წარედგინა მეტნაკლებად ნათელი სურათი: „9 აპრილის ტრაგედიისაა. 9 აპრილს თბილისში ჩადენილი დანაშაული ერთ-ერთი უმძიმესია საბჭოთა ქვეყნების ისტორიაში. მას დამსჯელი ოპერაციის ხასიათი აქვს, წარმოადგენს უდანაშაულო ადამიანთა წინასწარ ორგანიზებულ, მასობრივ ხოცვა-ჟლეტას, ჩადენილს განსაკუთრებული სისასტიკით და აკრძალული ქიმიური ნივთიერებების გამოყენებით. იგი შეიცავს საერთაშორისო დანაშაულს, კერძოდ ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ნიშნებს“.

9 აპრილის ტრაგიკულ მოვლენებს უაღრესად ფართო გამოხმაურება მოჰყვა საქართველოსა და უცხოეთში (შესაბამის მრავალფეროვან დოკუმენტურ მასალას მოიცავს 1990 წელს გამოქვეყნებული კრებული „9 აპრილი“); პრესითა და ტელევიზიით გამოდიოდნენ ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები: მეცნიერები, მწერლები, მსახიობები... რომლებიც გმობდნენ საბჭოთა იმპერიის დანაშაულებრივ ქმედებებს; საქართველოს რეგიონებში იმართებოდა მიტინგები, დემონსტრაციები... საქართველოში კომუნისტური რეჟიმი ნომინალური გახდა.. ეროვნულ ძალთა ლიდერების (ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, გ. ჭანტურია და სხვები) ინიციატივით ქართული საზოგადოება აშკარად და გაბედულად აყენებდა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს.

9 აპრილის ისტორიული მნიშვნელობა უაღრესად დიდია საქართველოს უახლოეს ისტორიაში. მან ცხადყო საბჭოთა პოლიტიკური სისტემის აგონია და საბოლოო კრახი, განაპირობა ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის პროცესის მოახლოვება, მაგრამ ამასთანავე შეიქმნა მნიშვნელოვანი გარემოებაც- მან მეტად აშკარად და უხეში ფორმით დაუპირისპირა რუსეთის სახელმწიფო ქართველებს. საქართველო კავკასიაში მარტო დარჩა. ეს გარემოება კი ჩინებულად გამოიყენა საქართველოს ყველა მტერმა და არა კეთილისმყოფელმა.

მიუხედავად ამისა ქართველი ერისათვის სასურველი თავისუფლება ახლოვდებოდა. 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების ზუსტად 2 წლის თავზე, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ მსოფლიოს გასაგონად განაცხადა: „სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი, 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება ქართველი ერისა“.

26 წელი გავიდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული და ამაღლებული მოვლენებიდან. მიუხედავად ქართულ საზოგადოებაში დღემდე არსებული არაერთგვაროვანი შეფასებებისა და შეხედულებებისა, 9 აპრილს ქართველმა ერმა გამოავლინა ერთიანობა და ერთგულება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მაღალი იდეალებისადმი. „ქართველი ერის სულიერი გამოღვიძების (მ. კოსტავა) პროცესი დღესაც გრძელდება; ორ ათეულ წელზე მეტია საქართველო მიუხედავად ყველაფრისა, მიაბიჯებს დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზაზე, რომლის სათავეებთან უახლოეს ისტორიულ წარსულში დგანან 9 აპრილის გმირებიც, რომელთა წმინდა სისხლი საქართველოს ერთიანობის-ეროვნული სიმტკიცის დუღაბად იქცა.

...„ეს უნდა გვახსოვდეს ჩვენც და ჩვენს შთამომავლობასაც...

ც. ძათამაძე
ასოცირებული პროფესორი

„ნეტაი შენ, რომ გაქ ენა ქართული, სხუაზე რათ გექცევა თვალი და გული?!

თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების - „ჩვენებურების ყოფა მეცნიერების სხვადასხვა დარგის აქტუალურ თემად იქცა. დაგროვდა ბევრი საინტერესო მასალა. პირველი ნაბიჯები ამ მიმართებით გადადგა ქ-ნმა შუშანა ფუტკარაძემ. მან მოიარა მთელი თურქეთი, შეხვდა ჩვენებურებს. იქ ნანახი და გაგონილი სოლიდური ნაშრომის სახით წარმოგვიდგინა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტი ყოველ წელს ატარებს ექსპედიციებს. მრავალფეროვანია (ეთნოლოგიური, ისტორიული, ფოლკლორული, დიალექტოლოგიური...) ამ ექსპედიციების წევრთა მიერ მოპოვებული მასალა.

ამჯერად გვინდა, მკითხველს შევთავაზოთ ჩვენებურთა გამონათქვამები, რომლებშიც გამოხატულია მათი დამოკიდებულება ქართული ენისადმი, ამ ენით მინიჭებული სიხარული თუ მისი დაკარგვის შიშით გამოწვეული ტკივილი...

დიდად გაიხარეს ჩვენებურებმა თურქეთ-საქართველოს საზღვრის გახსნით, იმით, რომ მიეცათ საშუალება უშუალოდ მოესმინათ ბუნებრივი, ლამაზი ქართული: **მადლი მეიგე, რომ მოხუელ ფენა (=ძალიან) ლამაზ გურჯიჯას ლაპარაკობ, ზვილაი გევგონეთ გერჩექ (=ნამდვილი) გურჯიჯა** - ამბობენ ისინი და ასე გამოხატავენ ამ დიდ კმაყოფილებასა და სიხარულს: **სარფის კარი რომე გეიხსნა, ჩემმა გულმაც გეიხსნა.**

ჩვენებურებს აუცილებლობად, სავალდებულოდ მიაჩნიათ თავიანთი წინაპრების ენის ცოდნა: **რატომ არ?ა იცოდეს გურჯმა მისი ანადილი (=დედაენა)? ჩომა (=პირუტყვი) არი მაქფერი ინსანი (=ადამიანი); ჩუენა ვინცხამ რომე გურჯიჯა არ იცის, იმა ქართუელ კაცათ არ ვთლით; ქართუელმა მისი ანადილი?ა იცოდეს; ჩვენი ანადილი გურჯია.** - ასე სწამთ მათ. ამიტომ ანიჭებენ უპირატესობას ქართულს. **„რა ზორი მაქ თურქჩა ვილაპარაკო?** სიამაყით იხსენებენ თავიანთ ნენეს - 107 წლის ბებიას, რომელიც თურმე **„ისე მოკდა, თურქი ენა არ დეისტავლა, არ იცოდა.** კმაყოფილებითა და სიამაყით ამბობენ, რომ **„ჩუენ ოჯაღში პატიტვანმა, ყუელამ, თეელმა იციან გურჯიჯა, ბაღლები ქართულათ ლაპარიკობენ ჩემი.**

ჩვენებურებმა კარგად იციან თურქეთის რომელ სოფელში ლაპარაკობენ ქართულად, სად არის შენახული წინაპრების ენა, სად აღარ ან კანტიკუნტად ისმის ქართული: **ქართულ ნამცოდნი პარხალ არ იქნებიან; ზაქიეთი, დაბა ბითავ (=მთლად) გურჯია... ზემო თერეფში თლათ გურჯიჯა იციან; სინკოეთ ქართული არ იციან; მაჩხატეთი, მანატბა, აგარა... თლათ გურჯულია; ხევწრული ბითევი გურჯია.**

ქართული ენის ცოდნით გამოწვეულ ამ სიამაყეს, კმაყოფილებას უდიდესი სინანულიც ერთვის. სინანული იმისა, რომ კარგად არ იციან თავიანთი ანადილი, მშობლიური, წინაპრების ენა: **მე ქართველი ვარ, ჰამა კაი ქართული არ ვიცი; მეც არ ვიცი იმდენი გურჯული; მე გურჯული დრამი (=ცოტა) ვიცი.** განსაკუთრებით აწუხებთ ის, რომ ახალგაზრდები - **„გენჯები აღარ ელტვიან გურჯიჯას... ძველები დეიხოცნენ, ახლებმა არ იციან... გენჯებმა აღარ წადინობენ გურჯიჯას; ახლებ თურქჩა ლაპარიკი აქუან მარტო შინ, გარეთ.**

ქართულის ცოდნისა და გავრცელების საერთო მდგომარეობას ჩვენებურები ასე ახასიათებენ: ბევრს ესმის, იგებს, რასაც ეუბნებიან, მაგრამ **„ვერ ილაპარიკენ,** ხანდახან **„ღარჭებმა (=ბავშვებმა) იგნებენ, მარა ვერ დეილაპარიკენ. იციან, ამა არ უბრუნავან ენა. არ ბრუნავს მათი ენა; ჩემ ბახლებმა (=გოგოებმა) გურჯიჯა იგნებენ და ვერ ილაპარიკენ, ვერ ულაპარაკნიათ.**

ქართულ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობის შემცირების, ქართულის გავრცელების არის დავიწროების მიზეზებზეც ლაპარაკობენ. ერთ-ერთ მთავარ მიზეზად გზების გაყვანა, სოფლების ქალაქებთან დაკავშირება მიაჩნიათ. ხაზს უსვამენ იმას, რომ ქართული ენის გამოყენების არე უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე დავიწროვდა განსაკუთრებით: **ოცი წელი არ შეიქნა, გზა რომ გააკეთეს. ეს გზა ასი წელი მოსულიყო, ქართული არ იქნებოდა. ოცი წელიწადია, ზოვლი ევერიეთ თურქებს. წინ-წინ გურჯი გურჯათ იყო.** სანამ გზებს გაიყვანდნენ, ქართულს მეტი ძალა ჰქონდა: **ძველათ აქ გზა არ ყოფილა, შელლიგობა (=ხალხმრავლობა, გამოცოცხლება) არ ყოფილა, სუყველა ქართული ილაპარიკა... ქოიში (=სოფელში) გაზდილებმა იციან ჰერალდა (=უსათუოდ) გურჯიჯა. ზამანუნდა (=წინათ) სოფელშიც არ ვლაპარიკობდით თურქჩა.**

სწორედ ახალგაზრდობის ქალაქში დასახლება არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ქართული არ იციან - **არ მოდიან სოფელში მისმა დედამისმა, მამამა, არ მოდიან სოფელში არ იციან ქართული.**

ქართული ენის ხვედრითი წონის შემცირების მიზეზია სკოლა - **აკვანში ქართული ისწავლიდენ წინ-წინ, ახლა აკვანში თურქჩა აწავლიან, ოქულში (=სკოლაში) არ შუუჭირდენო თურქჩა იმითვინ. მექთებში (=სკოლებში) მოსიარულე ბაღნებმა გურჯიჯა ჰამანქი (=თითქმის) აღარ იციან.** ერთ-ერთი მთხრობელი ამბობს: **მექთებში წაველი, თურქჩა არ ვიცოდი, მარტო გურჯიჯას ვლაპარაკობდი.**

სინანულით ყვებიან, რომ **„ჩუენსა ოქულების გამოსლამდინ სუფთა გურჯული ვლაპარაკობდით. ოქულებში რომ წევდენ ჩვენი ბაღნები, თურქჩაზე გედეიქცა მათი ენა.**

განსაკუთრებით გამოხატავენ უკმაყოფილებას თურქი მასწავლებლების მოთხოვნის გამო: **ორეთმენები ყვირიან, ბაღნებს გურჯიჯა არ ელაპარაკოთ, მემრე თურქჩა წორეთ ვერ ლაპარიკობენო.**

მასწავლებლების ამ სიმკაცრეს ემატება ისიც, რომ სკოლებში ყოფილა ჯგუფი მოსწავლეებისა, რომელთა **„საქმე იყო, ვინცხა ქართულათ დეილაპარიკებს, დაწერევდა და სკოლის მუდირს (=დირექტორს) ეტყოდა. ამოვდოდენ მუღელიმები (=მასწავლებლები) სოფელში და ეტყოდენ სახში: არ ელაპარაკოთ ქართულათ, თურქული ვერ?ა დავასწავლოთო.**

ამით განაწყენებული ერთ-ერთი მშობელი ამბობს: **რა საქმე აქუან ორეთმენებსა მეტი, ნელ-ნელა აწავლონ, ორ წელწად აწავლონ თურქჩა ლაპარიკი, მაშ რაზე აძლევს აბა ჰუქუმეთმა?!**

ერთ-ერთი გაბრაზებული მშობელი, რომელიც მოსულა კიდეც სკოლაში, ყვება (საგანგებოდ ვიმოწმებთ მონათხრობს): **ორეთმენი გუეკინტლება (=გვეჩხუბება) ბაღვებს გურჯიჯა ნუ ელაპარიკებით, თქუენი ბაღვები თურქჩა კარქა ვერ ლაპარიკობენო. გავჰერსტი (=გავბრაზდი) და მიველ ოქულში, ორეთმენსა ვუთხარ: შენა ჩუენი ხალხი ჯინგანი (=ბოშა) არ გეგონოს-მეთქი. ჩუენ ჩუენი დევლეთი (=სახელმწიფო) გუაქ, ჩუენი ბაირაღი, ჩუენი 2აზი (=ანბანი, დამწერლობა), ჩუენი ქითაბი (=წიგნი) გუაქ-მეთქი. ჩუენ ჩუენი ფადიშაჰი - თამარი გყუავს. ენ ლამაზი ხალხი ჩუენ - გურჯები ვართ-მეთქი. შენ მე რა?ა მითხრა, შენ შენი 2აზიც არ გაქ-მეთქი. ვეეფერი ვეღარ მითხრა ორეთმენმა.**

განსაკუთრებით გახაზავენ იმას, რომ **„თურქული სასწავლებელი იჯება (=შვრება) ამასა - ავინყებიებს გურჯიჯას... აქ სკოლაში არ გვასწავლიან გურჯულს... ორმოზდაათი წლის წინ იმფო სუფთა იყო ქართული ენა ჩუენსა. ოქულები რომ გეიხსნა, თურქჩა შამოვდა, ბაღნები თურქჩას სწავლობენ ოქულებში და გურჯიჯას აღარ ეტანებიან. წორეთ აღარ მივა საქმე.**

მშობლებიც იძულებული არიან ქართულად აღარ ელაპარაკონ შვილებს, სკოლაში თურქულის სწავლა რომ არ გაუჭირდეთ.

დიდ უსამართლობად მიაჩნიათ, რომ სკოლებში არ ისწავლება ქართული მაშინ, როცა **„ინგლიჯა, ალმანჯა, ფრანსჯა, არაბჯა არი...**

ოქულებში გურჯიჯა დერსი (=გაკვეთილი) რომ იყოს, ასე არ დეიკარქვის გურჯი დილი. ალმანჯა, ინგლიჯა არი ოქულებში და გურჯიჯა - არა. რა ყედერია (=გამართლება) ესა?! - კითხულობენ მშობლები. ჩვენებურებმა კარგად იციან, რომ ეს **„ჰუქუმათის საქმეა,** მაგრამ იმასაც ამბობს ერთი მურღულელი ჩვენებური: **ოქული ქრთული არ გვაქ, თავრობას საქმე დეელია, ოქული გახსნას?** თუმცა მომავლის იმედიც გამოკრთის მათ ნათქვამში: **თურქიეში სომხების სკოლა არი, ბერძნებისაც არი, ჩუენი არ არი. რატომ ასე?ა იყოს? იყოს?ა გურჯი სკოლა. ინშალაჰ იქნება მომავალში!**

ქართულად ლაპარაკი იკრძალება ჯარშიც: **ესკერში დაგვაბარებდენ-ქი, გურჯული არ ილაპარიკოთო, რას ლაპარიკობენ, ვერ გიგვიგნია, არ?ა ილაპარიკოთო.**

ჩვენებურები გულისტკივილით აღნიშნავენ იმასაც, რომ ქართული რადიო და ტელეგადაცემების დიქტორები ძალიან სწრაფად - „**ცქვიტად** ლაპარაკობენ და ამის გამო ვერ იგებენ ნათქვამს. უწინ ასე არ იყო: **წინ-წინ რადიოში ვუდინგლებდით (=ვუსმენდით) ამფერ, ამსო გურჯიჯასა, ახლა სადღა არის?! ადრე რადიოს ვიკავებდით, ძალიან მუუდინგლებდით. ახლა ვეღარ ვიკავებთ, რომც გამოვდეს ხმა, ვეღარ გიგვიგნია. ჰეჩ (სულ) ვერ გიგვიგნია რადიოს გურჯიჯა. ვერ ვიგნებთ, ცქვიტათ ლაპარიკობენ.**

ასევე საყვედურნარევია ჩვენებურების აზრი ქართულ ტელეგადაცემებზე: **გურჯი კანალები, ჩქარ-ჩქარა იძახის თქვენი თელევიზიონის კანალი. ყური ვუგდებ, ჰამა თელი ვერ ვარიგავ (=ვერ ვიგებ).**

ზემოთ ჩამოთვლილ ამ მიზეზებს, ბუნებრივია, ემატება ყოველდღიური ურთიერთობა თურქებთან: **დილაზე ოღლუშაღი (=ცოლ-შვილი) დევპანტვით, გარეთ თურქებში გავალთ, მათთან დავყდებით, თურქჩა ვილაპარიკებთ; თურქებთან ერთათ ვართ, მავიწყდებიან ქართული; თურქჩას რომ ვლაპარიკოფთ, გურჯი ბევრი აღარ ვიცი.** გული სტკივათ, რომ კარგად ვერ შეინახეს ქართული. იმოწმებენ აბაზებს - აბაზებმა უფრო შეინახეს აბაზური ენა. **ისინი ოჯახში თურქჩა დუნიადა არ დეილაპარიკებენ. აბაზებმა ძალიან არ დეიპანტენ, გეერიენ თურქებში. მეემური (=მოსამსახურე) ნაკლებად გახდენ, სამსახური არ დეიწყეს, სოფლებში დარჩენ. ჩუენ ერთ მაჰალეში (=უბანში) ვართ ორისამი გურჯი, თურქებში ვართ დამოსახლებული.** მიუხედავად ამ ყველაფრისა, მაინც კმაყოფილი არიან, მთლად რომ არ დავიწყნიათ ქართული, რომ **„კიდევ ვგნებულობთ ერთმანებ, კაია.**

ჩვენებურებს ძალიან აწუხებთ ქართული ენის მომავალი, აქვთ მშობლიური ენის დაკარგვის შიში: **ჩვენი ენა იკარქვის და ამაზე ფენა შეწუხებული ვართ, გულის კანკალი ქვტკივა; ჩუენი ეშები (=ტოლები) რომ წავლენ ამ დუნიიდან, თორუნები (=შვილიშვილები), დარჩენილები გურჯიჯა აღარ ილაპარიკებენ.**

ნუ დეიკარქვის ჩუენი ენა - აი, რას ცდილობენ ჩვენებურები.

ქართული ენის გადარჩენას იმითაც ცდილობენ, რომ თურქი არ მოჰყავთ რძლად, არც სიძედ ირჩევენ თურქს: **მე თურქს არ მევყვან... თურქებს არ გავატან გოგოს.**

მტკიცეა მათი გადაწყვეტილება - დაიცვან სოფელი, უცხოს, სხვა სისხლის ადამიანს არ აძლევენ იქ დასახლების უფლებას: **ჩუენ ენამ არ გამეიცვალოს, არ დაგვავიწყდეს, სხუა ხალხს ქართუელის გარდა არ ვუშვებთ ჩუენ სოფლებში, ქი სისხლმა არ გამეიცვალოს, ენამ არ გამეიცვალოს.**

ჩვენებურებმა კარგად იციან, რომ **„სოფელში რომ დააყდუმლებ სხუა მილლეთის კაცსა, ია (=ან) გოგო?ა ითხვო მისი, ია ბიჭი?ა დააქორწილო იმიდან, ამიტომ არ ვუშვეფთ ქი შიან, სოფელში.**

ჩვენებურებმა იციან, რომ ენის გადარჩენის აუცილებელი პირობაა ამ ენით ურთიერთობა, მისი აქტიურად გამოყენება. **ნახვალთ-მოხუალთ, გურჯიჯა აღარ დეიკარქვის, არ ილაპარიკა, არ ილაპარიკა, დეილია გურჯული; დრო რამდენიც გადის, იკარქვის ქართული; ერთი ენა არ იხმარე, არ იხმარე, დამავიწყდა; გურჯიჯა აღარ ილაპარიკა, აღარ ილაპარიკა, გამეიცვალა კაცი.**

ბევრი მშობელი ზაფხულობით სოფელში აგზავნის შვილებს, რომ ქართული ისწავლონ, არ დაავიწყდეთ, რადგან სოფელს ჯერ კიდევ შეუნახავს წინაპართა ენა: **გურჯიჯა ლაპარაკი ბევრ სოფელში ახლაც იციან; სოფელში ახლაც ქართულით ლაპარიკობენ, ყუელაფერი ქართული არი; ზაფხულობით სოფელში ვაგზავნით შვილებს, ბელქი (=იქნებ) გატეხონ გურჯიჯაო, - ვამბობთ.**

მშობლების როლიც არ ავიწყდებათ. ბევრი ჩვენებური მადლიერებით იხსენებს მამას, დედას, ბაბუას, ბებიას, რომლებმაც მათ ასწავლეს ქართული: **დედაც გურჯი მყავდენ და მამაც, იმითვინ ვიცი გურჯიჯა.** ერთ-ერთი ქალბატონი, რომელსაც არ ჰყავს ქართველი მეუღლე, დანანებით ამბობს: **გურჯი იყოს, დევლაპარიკებთ, კაი იქნება, ბაღნებმაც დეიწავლებენ.**

დიდი სურვილი აქვთ, იცოდნენ ქართული, შეისწავლონ, ცდას არ აკლებენ: **ცხვირბუკ ვატეხავთ ქართულს, გვინდა, კარქა ვისწავლოთ.** უნდათ, ბავშვებმაც იცოდნენ, უნდათ, **„წორე გურჯიჯა, თიფლიზური გურჯიჯა იწავლონ.**

არ კარგავენ იმედს, რომ **„სოფლები რომ გუაქ, გურჯიჯობა არ დეიკარქვის.** განსაკუთრებით მიუთითებენ ტოპონიმებზე, იციან მათი მნიშვნელობა ისტორიისათვის, ენისათვის. **არ დეიკარქვის გურჯი სახელი სოფლისა. მინდიეთსა ახლა მარალქოი ქვია, გამოუცვალა ჰუქუმეთმა ძუელი სახელი, მარა ყველამ ვიციო ძუელი, გურჯული სახელი. გენჯები (=ახალგაზრდები) რა გუარ მეიქცევიან არ ვიცი, დეიმახსოვრებენ ჰერალდა ისინიც -** აი, რაც აწუხებთ. ცდილობენ, ქართული ტოპონიმები გამოიყენონ, უხარიათ, რომ იქა მიწის სახელები, ყანების სახელები სულ ქართულია. ქართველობის უტყუარ მოწმედ მიაჩნიათ ეს სახელები: **მიხდები, გურჯი მინა ყოფილა.**

ქართულის შესანახავად, მის დასაცავად ჩვენგან მოიითხოვენ და ელიან დახმარებას. უნდათ ქართული წიგნები, ლექსიკონი, დედაენა: **თქვენიდამ წიგნები, დედაენა გვინდა. ბევრი ითხოვენ იქიეთ-აქიეთიდამ, ვერ გვიპოვნია, ქართულ ენაზე ლექსიკონი ვზებნეთ, თუ მააფერებთ და მაგას გამოგვიგზავნებდეთ, ზალიან საჭიროა, მაგას ველოდებით.**

ძალიან სტკივათ გული, რომ არ იციან ქართული წერა, ქართული ანბანი: **2აზი გურჯისა არ ვიცი. კაი იქნება გურჯის 2აზ შაასწავებდე ბაღვებსა. გურჯიჯა ალფაბე არ არი.**

ზოგმა ჩვენებურმა კარგად იცის ქართული ანბანის თავისებურება, მისი უპირატესობა სხვა ხალხის ანბანებთან შედარებით: **ჩუენი ენა, ჩუენი 2აზი, ნაწერავი ფენა თემიზი (=სუფთა) რამე არი. ერთ ასოს ერთი ფასი აქ. ზოგ ენეებში სამი ასოც არი ერთად, ერთი ხმის ბარობაზე. სამი ასო ერთად უნდა მოიდეს, რომე ერთი ხმა ამეიღო, ერთი ხმის ფასი ქონდეს.** შესანიშნავი დახასიათებაა ქართული ანბანისა. სიამაყით ამბობენ: **ქართუელ ხალხსა დიდი თაარიჰი (=ისტორია) აქ. დუნიაში თოთხმეტი ალფაბეა და მათში ერთი ჩუენი არი.**

ასე საერთო ძალით ცდილობენ ქართულის შენახვას, მის დაცვას, იმედიც აქვთ, რომ **„გურჯულს არ დაჰკარგავენ, რადგან ჩვენი მილლეთი (=ხალხი) აქ გეიზარდენ.**

საოცარი ენობრივი ალღო აქვთ ჩვენებურებს. კარგად გრძნობენ ენობრივ განსხვავებას ქართულ სოფლებს შორის. შეუცდომლად იციან, სად, რომელ სოფელში როგორი ქართული იციან, რას უწოდებენ სხვადასხვა საგანს.

ხასანფაშელების ლაპარიკი ცოტა აირია (=ცალკეა). სობა (=ღუმელი) გაანთეო, იტყვიან, ჩუენ ვიტყვით: დაანთე; ისენი ამბობენ ცეხლით, ჩუენ ვიტყვით ცეცხლი. მათი ლაპარიკი ცოტა გაწევლია, ამბობენ ისინი სოფელ ხასანფაშის მკვიდრებზე. მოაქვთ ამ „გაწევლი მეტყველების ნიმუშები: **ჩუენაო არჯივანიი ვართაო, შვილოო. შენი ნენეი შინ არა�აო?** თვითონაც ასე „გაწევლად პასუხობენ ხასანფაშელებს: **შინ არიისო, - ვიტყოდით ჩუენაც ასე გაწევლი. მათურებ დავციინევდით მეაო არჯივანნი ვარააო, იქიდამ ჩამუელო, შენი ნენეი კაიაააოო, კაია

შვიდი აღმავალი საფეხური, ანუ „ჩვენი სულიერების ბალავარის“ მეშვიდე კონფერენცია

2015 წლის 17-18 აპრილს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის — „ჩვენი სულიერების ბალავარის“ რიგით მეშვიდე ფორუმი, სადაც წარმოდგენილი იყო რელიგიური თუ ქართული საეკლესიო ცხოვრების ისტორიის ამსახველი 60 მოხსენება. სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი იყვნენ უცხოელი სტუმრები: ბულგარეთიდან (კამენ დონჩევი — ბულგარულ-ქართული სულიერი კავშირები) და პოლონეთიდან (ანჯეი ფურიერი — პოლონელი კათოლიკე მისიონერები კავკასიაში მე-17 საუკუნესა და მე-18 საუკუნის დასაწყისში); სოლიდური დელეგაციებით წარმოდგნენ კონფერენციაზე საქართველოს ქალაქები: თბილისი, ქუთაისი, გორი და რა თქმა უნდა, ბათუმი.

კონფერენცია გახსნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მერაბ ხალვაშმა. კონფერენციის დამსწრე საზოგადოებას მიესალმა მისი უშუალო ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, პროფესორ-ემერიტუსი — ბიჭიკო დიასამიძე, ნდობის, აღდგენისა და შერიგების საკითხებზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის მოადგილე — მანანა ანუა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — ავთანდილ ბერიძე; პროფესორები: გელა საითიძე (თბილისი), ავთანდილ ნიკოლეიშვილი (ქუთაისი), თამარ გოგოლაძე (გორი), ლელა სალარიძე (თბილისი), რამაზ სურმანიძე (ბათუმი) და სხვები, რის შემდეგაც კონფერენციის პლენარულ სხდომაზე წაკითხული იქნა ორი მოხსენება: პროფესორ ქეთევან პავლიაშვილის მიერ (თბილისი) — „აფხაზეთის ავტოკეფალიის საკითხი თანამედროვე საეკლესიო პოლიტიკაში“ და ემერიტუს-პროფესორ ბიჭიკო დიასამიძის მიერ (ბათუმი) — „სხალთის ეპარქიის ისტორია XVI-XVII საუკუნეებიდან) იწყება“. მოხსენებები ყურადღებით იქნა მოსმენილი და კონფერენცია თავიდანვე საინტერესო პაექრობის ფონზე წარიმართა. განსაკუთრებით მწვავე დებატები გამოწვია ბიჭიკო დიასამიძის მიერ წარმოდგენილმა ახალმა მასალებმა სხალთის ეპარქიის XVI-XVII საუკუნეებში დაარსების შესაძლებლობის შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა: ქეთევან პავლიაშვილმა, ნუგზარ მგელაძემ, რამაზ სურმანიძემ და სხვებმა. თემის ირგვლივ გამოითქვა მეტად მნიშვნელოვანი, საგულისხმო მოსაზრებები.

სამეცნიერო კონფერენციის ასეთი საინტერესო დასაწყისი შემდეგ მისი მუშაობა ორ სექციად გაგრძელდა. ორი დღის განმავლობაში კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნა არა ერთი მაღალკვალიფიციურ დონეზე შესრულებული და სამეცნიერო ბრუნვაში ახალ შემოტანილი მასალების შემცველი ნაშრომები. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს — სალომე ბახია-ოქრუაშვილისა და ირმა კვაშალავას (თბილისი), გელა საითიძის (თბილისი), ავთანდილ ნიკოლეიშვილის (ქუთაისი), მალხაზ ჩოხარაძის (ბათუმი), ბალაძის (ბათუმი), თინათინ შიოშვილის (ბათუმი), ნიკო ჯავახიშვილის (თბილისი), მერაბ მეგრელიშვილის (ბათუმი), მამია ფაღავას (ბათუმი), ოთარ გოგოლიშვილის (ბათუმი), გიული გიგუაშვილის (გორი), სოფიო ანდღულაძის (ბათუმი), რამაზ სურმანიძის (ბათუმი) და სხვათა მოხსენებები.

სამეცნიერო კონფერენციამ მეტად საინტერესო მეცნიერულ პაექრობასა და საქმიან ვითარებაში ჩაიარა. ამასთან უნდა აღინიშნოს ის, რომ კონფერენციის სხდომებს შორის მის მონაწილეებს შექმნილი ჰქონდათ სათანადო გარემო უფრო მეტად ურთიერთგაცნობა-დაახლოებისა და აზრთა გაზიარებისათვის. კონფერენციის მეორე დღეს კი სესიების დაწყებამდე მისმა მონაწილეებმა დიდი სიამოვნებით დაათვალიერეს ბათუმის მახლობლად არსებული სამების სამონასტრო კომპლექსი; ხოლო კონფერენციის შემაჯამებელ მრგვალ მაგიდასთან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციამ — „ჩვენი სულიერების ბალავარი“, სტუმართა მხრიდან მიიღო საკმაოდ მაღალი შეფასება და სამადლობელო სიტყვები. ასევე აღინიშნა, რომ ქ. ბათუმში აღნიშნული კონფერენციის ჩატარებით ძალიან კარგი ქართული საქმე კეთდება, მაგრამ სამწუხაროდ, ამის შესახებ საქართველოში ძალიან ცოტამ იცის. ეს იყო აღნიშნული სამეცნიერო ფორუმის არა მარტო შეფასება, არამედ იმის დასტურიც, რომ „ჩვენი სულიერების ბალავარმა“ წარმატებით განვლო შვიდი აღმავალი საფეხური.

მღვდელმონაზონი ლეონიდეს მისიონერული საქმიანობა

საქართველოს ეგზარხოსმა პალადიმ მღვდელმონაზონი ლეონიდე 1888 წელს კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მისიონერად და სკოლათა ინსპექტორად დანიშნა. ამავე წლის იანვარში, როგორც ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირისადმი გაგზავნილი წერილებიდან ირკვევა, ახალგაზრდა მღვდელმონაზონი ლეონიდე დათანხმდა წინადადებას მისიონერული საქმიანობა ეწარმოებინა საინგილოსა და აჭარა-ქობულეთში, სადაც იმ დროს ქრისტიანობას ყველაზე მეტად უჭირდა (ვარდოსანიძე, 2014: 12) ახალგაზრდა მოძღვარი თავის ამ მისიას უდიდესი კრძალვით, სასოებითა და მოწიწებით უყურებს ამბობს: „მისიონერობა, ანუ მოციქულობა არის ხვედრი ღვთისაგან რჩეულთა და არის ისეთი დიდი, მაღალი და წმინდა მოვალეობა, რომელსაც არა გვარი სოფლიური მოვალეობა არ ეთანაბრება“... (იქვე, 13; ხელნაწერთა ინსტიტუტი.., ფ. 1202) შემდეგ იმავე წერილში ლეონიდე საყვარელ ბიძას აცნობებს, თუ რა უდიდესი როლი შეასრულა მისი ცხოვრების მთავარი გადაწყვეტილების მიღებაში მისმა, ეპისკოპოს ალექსანდრესთან ერთად, ქობულეთში მოგზაურობამ და იქ „თეთროსნის“ ეკლესიის ნანგრევების ნახვამ: „...მისიონერობა, ღვთის განგებამ ჯერ ისევ ბავშვობაში მაქონია სახსოვარში; შემდეგში ამავე ღვთის განგებამ მიჩვენა თვით ადგილიც ჩემი ღვაწლისათვის. ვინ არ მიხვდება, რომ ღვთის განგება და არა უბრალო შემთხვევა იყო, რომ მე თქვენთან ერთად ვიყავ ქობულეთში... და თქვენთან ერთად ვნახე ძველი ეკლესიის ნანგრევი „თეთროსანი“!! ის დრო ჩემთვის დაუვიწყარი იქნება და არის კიდეც. იმ დროსვე შემიყვარდა ქობულეთი; მაშინვე ვიგრძენი ქობულეთლების სიახლოვე და გეფიცებით ღმერთსა, მას უკან ჩემი გული იქ დარჩა... ღვთის განგებულობის საქმეა ჩემი ბერობაც... თანახმად თქვენი რჩევისა, ჩემი სურვილიც ისაა, რომ საინგილო და ქობულეთში მოვყვე. პირველად იმიტომ რომ, როგორც ზევითაც მოგახსენეთ, ხელი უფლისა პირველად ვცან ქობულეთში და ჩემი გული მას უკან იქ არის; მეორეთ იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში ქართული ენაა და ქართულად შეიძლება სწავლა-ქადაგება“... — აუწყებს ბერმონაზონი ლეონიდე ეპისკოპოს ალექსანდრე (ვარდოსანიძე, იქვე, 13-15). ამავე წერილში ავტორი საუბრობს რუსთა მიერ კავკასიაში ქრისტიანობის აღდგენის ცდათა უნაყოფობაზე და ამის მიზეზად ასახელებს იმას, რომ „...მქადაგებელნი რუსები იყვნენ. რუსებმა არცერთი კავკასიური ენა არ იციან და არც შეუძლიან შეისწავლონ... რუსი მარტო თავისი რუსობით აფრთხობს ხალხს და ამიტომ ნურავინ იფიქრებს, რუსმა მოახერხოს რამე“... (იქვე).

საქართველოში დაბრუნებული ახალგაზრდა ბერმონაზონი ენერგიულად შეუდგა სამისიონერო საქმიანობას საინგილოში, ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთსა და ოსეთში. იგი „მოქალაქეობრივი თავგანწირულებით დადიოდა სოფლიდან სოფლად, დაბიდან დაბად, კლდეღრეებში, მთებს შორის, უშიშრად და შეუპოვრად ბნელსა და ჩრდილსა სულიერის სიკვდილისას მსდგომარე ერთა უქადაგებდა ადვილად გასაგების ქართული ენით სახარების დიდსა სწავლასა“, — გვაუწყებს მისი ბიოგრაფი ილია ნებოძირელი (ნებოძირელი, 1903: 6) და იქვე განაგრძობს: „მან გაამხნევა ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების მასწავლებლები, გაუღვიძა მონაფეებს ცნობისმოყვარეობა, აშკარად შეაგნებინა მოსწავლეთა მშობლებს ბავშვების ქრისტიანულ სარწმუნოებაზედ აღზრდის უპირატესობა და საჭიროება“ (იქვე).

უნდა ითქვას, რომ საერთოდ აღსანიშნავია ქართული ეკლესიის წარმომადგენელთა დიდი ღვაწლი „კავკასიონის მკვიდრთა შორის მეთვრამეტე საუკუნეში“ ქრისტიანობის აღდგენის საქმეში და სწორედ ქართული ეკლესიის შვილებს — იოსებ სამებელს, იოანე მანგლელს, გაიოზს და სხვებს ეკუთვნოდათ კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების დაარსების პირველი აზრი (იქვე, 7; «Духовный Вестник», 1901:).

ოსეთში თავისი მისიონერული მოვალეობის შესრულების დროს მღვდელ—მონაზონ მა ლეონიდემ სოფელ ბესლანში აკურთხა სკოლა—ეკლესია, რომელიც ოსი ეროვნების გუთიევს დაუარსებია («Духовный Вестник», 1891: N2, 36-37;) მანვე საკუთარი უდიდესი ძალისხმევის შედეგად დაარსა სკოლები ოსთა სოფლებში — რკაში, ედესს, კოშკს, ხუმაგულას, ბერდანს, მაჩხესსა და გალიათში («Духовный Вестник»,1891: ?8). იგი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ოსთა სარწმუნოებრივ და ოსურ სკოლებში არსებულ სწავლების პრობლემებს და გამოაქვეყნა მეტად საინტერესო წერილი ოსთა რელიგიური ცხოვრების შესახებ («Духовный Вестник»,1891: N4, 36-37). მისი ამ მხარეში სამისიონერო მოღვაწეობის პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა ის, რომ „...ჩრდილოეთ ოსეთის ყველა სამრეკლოში არსებობს სკოლა“—აღნიშნავდა ჟურნალი „ივერია“. („ივერია“, ? 61, 1901:)

მღვდელ—მონაზონმა ლეონიდემ დიდი ღვაწლი გასწია საინგილოშიც, სადაც ადგილობრივ მოლებთან დაპირისპირების ფონზე ძალზე რთული იყო სამისიონერო მუშაობა. ყოვლად—სამღვდელო ლეონიდე თავად აღნიშნავს: „საინგილოს მოლები სცდილობენ, რომ ინგილოთა ახალ-თაობამ არ გაიგოს რა თავისი მამა—პაპების, ეროვნების და დედაენის შესახებ“... (ნებოძირელი, 1903: 8-9; «Духовный Вестник», N5, 1890: 34—38). მიუხედავად ასეთი ვითარებისა მღვდელ-მონაზონმა ლეონიდემ მაინც შესძლო ინგილოთა ნაწილის ქრისტეს რჯულზე დაბრუნება და 1890 წ. მაისში საინგილოში საფუძველი ჩაუყარა ქურმუხის წმ. გიორგის ეკლესიას, 1891 წლის 12 მაისს აკურთხა კახის დედათა სკოლის საფუძველი, 13 მაისს კი თასმალოში ახალი სკოლა-ეკლესია. განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი იყო კახის დედათა სკოლის დაარსება, რადგან საინგილოში ქალი მეტად დაბეჩავებულ მდგომარეობაში იყო და „დედათა სკოლის გახსნა, — როგორც თავად ლეონიდე აღნიშნავდა, — ამ მხარეში სასიხარულო მოვლენაა, ღირსი სრული ყურადღებისა და დახმარების“ და ამის გამო იგი სთხოვს საბჭოს დანიშნოს ხსენებულ სკოლაში მასწავლებელი ქალი“ («Духовный Вестник», N17, 1890: 4). 1892 წ. ლეონიდემ თასმალოში ქრისტიანობაზე მოაქცია 62 სული და ყველანაირად ცდილობდა მტკიცე ნიადაგზე დაეყენებინა ინგილოთა შორის ქრისტიანობის აღდგენის საქმე, ამასთან პირდაპირ მიუთითებს, რომ „...სტამბოლიდან მოსული ხოჯები და მოლები ინგილოთა და გამაჰმადიანებულ ქართველთა შორის მეტად მავნებელნი არიან. ეს არის ჩვენი გულითადი რწმენა, დამყარებული ამ საკითხის ზედმიწევნით შესწავლაზე“ (ნებოძირელი, 1903: 11).

როგორც მასალიდან ჩანს, მისიონერი ლეონიდე არცთუ იშვიათად მიდიოდა მოლებთან ოჯახებში პოლემიკური ხასიათის საუბართა გასამართავად, მაგრამ ისინი ასეთ საუბრებს გაურბოდნენ; რის გამოც თათრული ენის კარგად მცოდნე ადგილობრივ ჩინოვნიკ (ნაიბი) მერკულოვს მოლები ხალხთან შეურცხვენია, რომ თუ თქვენი სჯული ქრისტიანობაზე უკეთესია, რად გეშინიათ ქრისტიან მისიონერებთან სარწმუნოებაზე კამათის გამართვაო. ამის შემდეგ გამართულ პოლემიკის (კამათის) შედეგად ინგილოთა 13 ოჯახი ალიაბადში კვლავ ქრისტიანობას დაბრუნებია. მაგრამ „...ქრისტეს რჯულზე გადასულ ინგილოებს, მოლების ჩაგონებით, თათრებმა ბრძოლა გამოუცხადეს. დახოცვითა და სახლ—კრის დაწვით ემუქრებოდნენ. იმათ საქონელს ნახირშიც აღარ უშვებდნენ. ინგილოებს საქონელი ეკარგებოდათ და ვეღარ პოულობდნენ. იმ დროს ნაიბი მერკულოვიც სხვაგან გადავიდა და ინგილოებს მფარველი აღარავინ ჰყავდა. ამიტომ თათრების შიშით რჯულიდან ისევ გადადგნენ. ვეღარც მისიონერ ლეონიდეს დარიგებამ გამოასწორა საქმე“...—აღნიშნავს თავის ნაშრომში იმ პერიოდში საინგილოში კეთილმოწესედ (ბლაღოჩინი) ნამუშევარი ირადიონ ოქროპირიძე (ოქროპირიძე, 1989: 116). იგივე ავტორი აღნერს რა რუსი ეგზარხოსის მიერ საინგილოში მოგზაურობისას გამომჟღავნებულ ინგილოებისადმი უსულ—გულო დამოკიდებულებას, აღნიშნავს, რომ „... ასეთ უბედურებაში ჩავარდა ჩვენი ერი და თვით ეკლესია იმისთანა უცხვირპირო და უგულო მმართველობის ხელში, რომლებიც მარტო იმ პოლიტიკას მისდევდნენ, რომ ხალხი გავარუსოთო. ცხადია მაგათ ხელში ჩავარდნილი ინგილოები დაჰკარგავდნენ ქრისტიანობას“... (იქვე) ასეთ ვითარებას მისიონერული საქმიანობის დროს თან ერთვოდა უკიდურესი გაჭირვება, ზამთარში სიცივე და თოვლ-ჭყაპი, ცხენით გაუთავებელი მგზავრობისას ძლიერი დაღლილობა, რომლის შესახებაც თავად ლეონიდე ასე იგონებს: „ისე დავიღალე ცხენზე, რომ შკოლის კარებზე ხელით გადმომიღეს ცხენიდან“... [ვარდოსანიძე, 2014: 17].

დიდი შრომა გასწია მღვდელ—მონაზონმა ლეონიდემ საქართველოს მთიანეთში — თუშ-ფშავხევსურ-მთიულთა შორის ქრისტიანობის გამყარების და მათში სწავლა-განათლების გავრცელების საქმეშიც. მან ამ საქმეს მიუძღვნა არაერთი წერილი (რუსულ ენაზე) («Духовный Вестник», N12, 1891; «Духовный Вестник», 1892: N2, 10, 11 და სხვ.), რომლებშიც სთხოვდა მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების საბჭოს, რომ საქართველოს ამ რეგიონში მომუშავე მღვდლისთვის დაენიშნათ ჯეროვანი ჯამაგირი, მათთვის დაენიშნათ საკუთარი მოძღვარი (ბლაღოჩინი, კეთილმოწესე), რომელიც იცხოვრებდა ბარისახოში და ექნებოდა ჯამაგირი 700 მანეთი. მიწვეულნი იქნენ აქ სამსახურში სემინარიელები. მთაში სასულიერო კადრების დარჩენის წასახალისებლად ლეონიდეს აუცილებლად მიაჩნდა სხვა საჭირო ღონისძიებების გატარებაც (ნებოძირელი, 1903: 11-12).

მისიონერ ლეონიდეს ძალისხმევით 1892 წელს გაიხსნა პანკისის სკოლა გაქრისტიანებული ქისტებისათვის, მანვე გახსნა ბარისახოს სკოლა. შემწეობა გაიღო თიღვის, მცხეთის, საფარის, სამებისა და ჯვრის ტაძრებისათვის. მისივე შუამდგომლობით ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ გაიღო ხარჯები ქურმუხის (3.000 მანეთი), თასმალოს (4.000 მანეთი) ყორნისის (4.000 მანეთი) და სხვა ტაძრების აღსადგენად (იქვე, 12—13).

ახალგაზრდა მისიონერის ნაყოფიერი მოღვაწეობა აღფრთოვანებას იწვევდა მის თანამედროვე სასულიერო მოღვაწეთა შორის; მაგრამ მღვდელ-მონაზონ ლეონიდესაც არ აკლდა ეჭვით მომზრალნი და მოშურნენი, რომელთა შესახებ იგი გულდაწყვეტილი წერს: „... ყოველთვის საქმე, მეტადრე კეთილი დევნული ყოფილა და ახლაც ასეა. ჯავრით სკდებიან, როგორ თუ ამ გუშინდელმა ღლაპმა გვაჯობა და ჩვენ ჭაღარა შერეულებს თავს დაგვაჯდაო... ჯიბრისგან აღარ იციან რა ქნან, რევენ და მიბუნტებენ ხალხს, მათში ავრცელებენ ჩემზედ ცუდ ხმებს და მამცირებენ ხალხის თვალში“... (ვარდოსანიძე, 2014: 20). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს მაშინდელი ეგზარხოსი პალადი დიდად აფასებდა და თანაუგრძნობდა ახალგაზრდა მღვდელ-მონაზვნის თავდადებულ, სასარგებლო და ნაყოფიერ მოღვაწეობას. ამიტომაც 1892 წელს ლეონიდე დანიშნული იქნა იოანე ზედაზნელის მონასტრის წინამძღვრად იღუმენის ხარისხით, 1893 წლის 6 მაისს იგი აღყვანილი იქნა არქიმანდრიტის ხარისხში და დაინიშნა ხირსის წმ. სტეფანეს მონასტრის წინამძღვრად, ამავე წლის ნოემბერში კი დანიშნეს ქართლ-კახეთის ეპარქიის მონასტერთა წინამძღვრად (ბლაღოჩინი, კეთილმოწესე). მან გააცოცხლა და გაამშვენიერა ხირსის მონასტერი და ეკლესიის აღმშენებლის წმ. სტეფანე ხირსელის საფლავს დაადგა ლუსკუმა, ტაძარი განახლა და მასთან დაარსა საეკლესიო სამრევლო სკოლა, რომელსაც ინახავდა საკუთარი ხარჯით. არქიმანდრიტ ლეონიდეს სასულიერო სამსახურეობრივი კარიერა შემდგომშიც აღმავლობით წარიმართა და იგი მონაწილე იყო არა ერთი სასიკეთო საზოგადოებრივი და ეროვნული საქმისა.

1898 წლის 17 აპრილს არქიმანდრიტი ლეონიდე აღყვანილი იქნა გორის ეპარქიის მღვდელმთავრის ხარისხში. ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ მისმა მეუფებამ წარმოთქვა მეტად შთამბეჭდავი სიტყვა, რომელიც ასე დაამთავრა: „ვმადლობ მეუფესა ცხოვრებისა ჩემისასა, რომ მიჩვენა მე ჩემის მსახურების ადგილი მშობლიურს და ნაცნობს მხარეში, იმ მხარეში, რომელიც ძველი დროიდგან ცნობილია ქრისტეს წმიდა სწავლისადმი შეურყეველი ერთგულებით და თავისუფალია ცრუ სწავლათა და განდგომილებათა ბადეთაგან“ («Духовный Вестник», ?9, 1898: ; ნებოძირელი, 1903: 14-18).

მღვდელ-მონაზონ ლეონიდეს მისიონერული მოღვაწეობა და საერთოდ, მისიონერული საქმიანობისადმი მისი დამოკიდებულება ნათელი მაგალითია ქართული სამღვდელოების ამ ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის უდიდესი მართლმადიდებლური, ჭეშმარიტი ქრისტიანული რწმენის მსახურებისა.

მეტად მნიშვნელოვანი და თავისი შინაარსის სიღრმით ორიგინალურია, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მღვდელმონაზონ ლეონიდეს თავისი სასულიერო ცხოვრების განსაკუთრებული, მისიონერული ეტაპის განმსაზღვრელად შემოყავს ისეთი საკრალური მოტივი, როგორიც უძველესი ქართული სალოცავის „თეთროსნის“ ნანგრევთა მისტიური გავლენის გაზრებაა სამისიონერო საქმიანობის დასაწყებად. ამასთან მღვდელმთავარ ლეონიდეს ამ გააზრებაში მართლაც არის რაღაც მისტიური და წინასწარმეტყველური — მისი დიდი სულიერი ცხოვრება ქობულეთში „თეთროსნის“ ნანგრევების მიერ აშლილი წარმოსახვით დაიწყო და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენით, და ბოლოს, მისი საჭეთმპყრობელობით დასრულდა. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მღვდელმთავარ ლეონიდეს ამ დიდ გზაზე ყოველთვის წინ მიუძღოდა უფლის მადლით გაბრწყინებული რწმენა და მისდამი უდიდესი სასოება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი კეთილმოქმედი საქმიანობით წმიდანებად შერაცხულ დიდ წინაპართა ღირსეული შთამომავალია.

უჩა ოქროპირიძე,
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის პროფესორი

ტემპუსის პროექტი მათემატიკის კურიკულუმების მოდერნიზაციის საკითხებზე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლები - პროფ. ვ.ბალაძე, ასოც. პროფ. ა. ბერიძე, ასოც. პროფ. ლ. თურმანიძე და ასოც. პროფ. დ. მახარაძე ტემპუსის პროექტის ფარგლებში მუშაობენ მათემატიკის კურიკულუმების მოდერნიზაციის საკითხებზე. მათ მონაწილეობა მიიღეს პროექტის - „სამხრეთ კავკასიის უნივერსიტეტების საინჟინრო და საბუნებისმეტყველო სპეციალობების საგანმანათლებლო პროგრამების მათემატიკის კურსების მოდერნიზაცია თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების შესაბამისად“ ეგიდით

გამართულ თბილისის, ერევნის, ლიონის, საარბრიუკენის და ტამპერეს კონფერენციებში. ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორებმა უცხოელ კოლეგებთან ერთად განიხილეს თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების შესაბამისად საინჟინრო და საბუნებისმეტყველო სპეციალობების საგანმანათლებლო პროგრამების მათემატიკის კურსების მოდერნიზაციასთან დაკავშირებული საკითხები.

ტემპუსის პროექტის ფარგლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიურ, ადმინისტრაციულ პერსონლათან და სტუდენტებთან. პროექტის ლოკალურმა კოორდინატორმა, პროფესორმა ვლადიმერ ბალაძემ შეხვედრის მონაწილეებს გააცნო პროექტის შინაარსი და მიზნები. მან გერმანიის, საფრანგეთის და ფინეთის უნივერსიტეტების გამოცდილებაზე დაყრდნობით ისაუბრა საგანმანათლებლო პროგრამებში და სილაბუსებში მათემატიკის კურსის კრედიტების გაზრდის და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობაზე, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას.

მოწვეული სტუმრების წინაშე მოხსენებებით წარსდგნენ პროექტის წევრები ასოც. პროფესორები ლ.. თურმანიძე, დ. მახარაძე და ა. ბერიძე.

გადაწყდა, რომ პროექტის ფარგლებში საარბრიუკენის უნივერსიტეტში ერთი სემესტრის განმავლობაში სასწავლებლად მივლენილ იქნებიან უნივერსიტეტის მაღალი აკადემიური წარმატების მქონე სტუდენტები თამარ ხილაძე და თამთა კახიძე.

მიმდინარე წლის 3,4 და 5ივნისს ბათუმის უნივერსიტეტში გაიმართება პროექტთან დაკავშირებული საერთაშორისო კონფერენცია.კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საფრაგეთის, გერმანიის, ფინეთის, საქართველოს და სომხეთის უნივერსიტეტების მათემატიკოსები.

„სიყვარული ადგვამაღლებს“



სიყვარული დედამიწაზე მყარად დააბიჯებს,როგორც მარადიული, უდიდესი და დაუმარცხებელი, რომანტიკული შარავანდედით გასხივოსნებული უნეტარესი გრძნობა. სიყვარული ხომ ყველა სიკეთის სათავეა, ყველა ბოროტების შემრკინებელი და დამამარცხებელი.ადამიანი ღმერთმა სიყვარულისა და სიკეთისათვის მოავლინა ქვეყნად და უბრძანა: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი.“

დიდი ფილოსოფოსის პლატონის აზრით სიყვარული არის ადამიანის სწრაფვა ამაღლებულისადმი, ზეციური სრულყოფილებისადმი.ჭეშმარიტების, სილამაზისა და სიკეთისაკენ სწრაფვაში ადამიანი დიდებულ სამყაროში მაღლდება.

სიყვარულის დიადი გრძნობით ამაღლებული, ზნესრული ადამიანებია „ვეფხისტყაოსნის“ გმირები, რომლებიც მოყვასის სიყვარულით გულანთებულნი საკუთარ სიცოცხლეს მოძმისადმი უანგაროდ გაიღებდნენ: „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვჰკრეფ კიტრად ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად.“

უსათნოესი და უსპეტაკესია დედაშვილური სიყვარული, სიყვარული, რომელიც ამ ქვეყნად ყველა გრძნობაზე მძლეთა-მძლეა, რომელსაც სასწაულების მოხდენაც შეუძლია ალბათ.

და ბოლოს სიყვარული ქალ-ვაჟისა, ლტოლვა ორი საპირისპირო სქესისა, რომელიც არაერთი მწერლის შთაგონების წყარო გამხდარა. მსოფლიო ლიტერატურა შეუძრავს ამ დიად გრძნობას. სიყვარულის ტკბილ-მწარ ბადეში გახვეულ ბევრ ლიტერატურულ გმირს ზვარაკადაც გაუღია სიცოცხლე, მაგრამ სიყვარულს მაინც უზეიმია, გაუმარჯვია.

დიდია სიყვარულის ძალა ამ ქვეყნად. სიყვარული სათავეა ოჯახის შექმნისა, ოჯახი კი საზოგადოების ნაწილია და სიყვარულით აშენებული საზოგადოება ქვეყნის მომავლის განვითარების ერთ-ერთი და აუცილებელი საწინდარია.

ნონა ცელაძე

განათლების ფაკულტეტის პირველი კურსი

წერილის სათაურში შემთხვევით არ გამოგვიტანია მინიშნება პედაგოგის ღვაწლზე საბავშვო მწერლობის განვითარებაში, რადგან ამ დარგში მოღვაწე მწერალი, უწინარეს ყოვლისა, კარგი ფსიქოლოგი და პედაგოგი უნდა იყოს. ქართული პედაგოგიკისა და ქართული საბავშვო მწერლობის კლასიკოსი იაკობ გოგებაშვილი წერდა: „საკმარისი არ არის მწერალი გენიოსი მწერალი იყოს, იგი ამავე დროს გენიოსი პედაგოგიც უნდა იყოსო“. მსოფლიო საბავშვო მწელობის კლასიკოსები არც ბიჩერ სტოუ („ბიძია თომას ქოხი“) და არც დანიელ დეფო („რობინზონ კრუზო“) სპეციალურად საბავშვო ნაწარმოებებს არ ქმნიდნენ. მაშინ საბავშვო მწერლობა, როგორც მწერლობის ცალკე დარგი, არც არსებობდა. ისინი, უბრალოდ, კარგად წერდნენ. მათი ნაწარმოებებიდან მკითხველები ძლიერ შთაბეჭდილებებს იღებდნენ, რაც მათ მთელი სიცოცხლის მანძილზე თან სდევდა.

ქართული მწერლობის კლასიკოსი კონსტანტინე გამსახურდია კი წერდა: „ხშირია შემთხვევა, რომ მნერლობაში მომცდარი ახალგაზრდა გვევლინება საბავშვო ლიტერატურის მწერლად. ჩვენ კი ვიცით, — დასძენდა დიდი მწერალი, — რომ ჩვენში და სხვაგანაც ლიტერატურის კორიფეები ითვლებოდნენ საბავშვო მწერლებად — ლევ ტოლსტოი, აკაკი, ვაჟა და სხვები“. მაგრამ აქვე აღნიშნავდა კ. გამსახურდია, რომ, რადგან თანამედროვე მწერლობას ასეთი დიდი მწერლები არ ჰყავს, გამომცემლობები ქართველი მკითხველისათვის გამოსცემენ სხვა ენებზე შექმნილი საბავშვო ნაწარმოებების თარგმანს. მაგრამ თარგმნა ძალიან ძნელი საქმეა. „მე, — წერდა კ. გამსახურდია, — ორი-სამი კაცი თუ მეგულება გოგოლისა და დოსტოევსკის თარგმნას რომ შეძლებს... თარგმანი მაშინ გამოვა კარგი, თუ მთარგმნელი ავტორის კონგენიალური არის“ (კ. გამსახურდია, თხზ. ათტომეული, ტ. IX, თბ.,1985, გვ. 561).

ამრიგად, საყმანვილო ლიტერატურაში თანაბარ სიბრტყეზე განიხილება როგორც მწერლის ოსტატობის, საბავშვო ნაწარმოების სპეციფიკის, ისე უცხო ენიდან თარგმნის ხარისხი.

საბავშვო ნაწარმოებში, უწინარეს ყოვლისა, ბავშვის ცხოვრება უნდა იყოს დახატული, მაგრამ ნაწარმოებს გამონაგონის ელფერი არ უნდა დაჰკრავდეს. ბავშს ვერ მოაწონებ და მით უმეტეს, ვერ შეაყვარებ ისეთ სიუჟეტს, რომელიც არარეალური, გამოგონილია. იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა“ და „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“, ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობი“ და სხვები დაწერილია სწორედ პედაგოგი მწერლების მიერ და აღწერილია არა მხოლოდ დიდი მწერლების ოსტატობით, არამედ ბავშვის თვალით დანახული სინამდვილე.

მთარგმნელი და პედაგოგი, პროფესორი ნოდარ ბასილაძე ქართველი მკითხველისათვის სათარგმნელ ნაწარმოებს სწორედ ამ თვალსაზრისით არჩევს. ამაზე მეტყველებს მისი თარგმანების ახალი კრებული **„პატიოსანი სიტყვა“,** რომელიც ს.ს. „გამომცემლობა აჭარამ“ მიაწოდა მკითხველს.

პედაგოგ ნოდარ ბასილაძის თარგმანებში მკითხველის ყურადღებას იქცევს ახალი ჰუმანისტური პედაგოგიკის პრინციპების მიხედვით შექმნილი საბავშვო ნაწარმოებების სიმრავლე, პედაგოგიკისა, რომელიც არსებითად განსხვავდება ტრადიციული, ავტორიტარული პედაგოგიკის პრინციპებისაგან.

ავტორიტარული პედაგოგიკის მიხედვით ბავშვი, მოსწავლე აღზრდის მხოლოდ ობიექტია, ჰუმანისტური პედაგოგიკის პრინციპების მიხედვით კი იგი არა მარტო ობიექტი, არამედ აღზრდის სუბიექტიცაა, რადგან მოსწავლე მოაზროვნე არსება არის. ამის ნათელი მაგალითია სარეცენზიო კრებულში წარმოდგენილი ა. კურლიანდსკისა და ა. ჰაიტის მოთხრობა **„აქსიომა“.** მასში მასწავლებელი უხსნის ბავშვებს, რომ ორი პარალელური სწორი, რაც უნდა გავაგრძელოთ, არასოდეს გადაკვეთს ერთმანეთს. ამ მოსაზრებას არ იზიარებს ერთ-ერთი მოსწავლე, სიდოროვი. იგი ეკითხება მასწავლებელს:

— ხუთიათას კილომეტრზე რომ გავაგრძელოთ, მაშინ გადაკვეთენ?

— არა.

— კი მაგრამ, ეს ვინ შეამოწმა?

— ამას შემოწმება არ სჭირდება. ეს ისედაც ნათელია, რადგან აქსიომაა.

სამწუხაროდ, მასწავლებელი აშკარად მოუმზადებელი აღმოჩნდა თანამედროვე მოსწავლის მიერ წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტისათვის და საკუთარი ავტორიტეტი მოიშვალია, შემოქმედი პედაგოგი კი დააზუსტებდა და იტყოდა: „არ გადაკვეთენ ერთმანეთს, თუ ერთ-ერთი მათგანი მიმართულებას არ შეიცვლის“.

— კარგი, ეკკლიდეს არ უჯერებ. შენ მას არ იცნობ, მაგრამ მე ხომ მიცნობ? ჩემი არ გჯერა? მე გეუბნები, რომ ისინი ერთმანეთს არ გადაკვეთენ... რატომ არ იღებ ხმას?

— ვფიქრობ.

მასწავლებელი კიდევ უფრო სუსტი აღმოჩნდა მოსწავლის ამ პასუხის („ვფიქრობ“) შინაარსის გააზრებისათვის და სრულიად არაპედაგოგიური მეთოდი გამოიყენა.

— აი, რა, სიდოროვ, ან ახლავე აღიარებ, რომ ისინი ერთმანეთს არ გადაკვეთავენ, ანდა კლასიდან გახვალ.

— ეს ჩემს შეგნებამდე არ დადის, — თქვა სიდოროვმა სლუკუნით.

— გაეთრე! — დაუყვირა მასწავლებელმა. — აიღე ჩანთა და მშობლების მოსაყვანად წადი.

„სიდოროვმა ჩანთას ხელი დაავლო და სლუკუნით გავიდა კლასიდან“.

მასწავლებელმა წააგო პროცესი, რომლის შედეგად ერთი კარგი პერსპექტიული ახალგაზრდა უნდა შემატებოდა საზოგადოებას. მას ავიწყდება, რომ სწორედ სიდოროვისთანა ჭაბუკებიდან ყალიბდებიან მომავალი ნიუტონები და აინშტაინები.

გიორგი (იური) ბიბილეიშვილი

პედაგოგის მთარგმნელობითი მოღვაწეობა



ასე უშეღავათოდ არის მხილებული აღზრდის ავტორიტარული მეთოდის სიმახინჯე მოთხრობაში და დაცულია მოაზროვნე მოსწავლის ინტერესები.

საბავშვო მწერლობის შენაძენად უნდა ვაღიაროთ სარეცენზიო კრებულში წარმოდგენილი ლიონკა პანტელეევის მოთხრობა **„პატიოსანი სიტყვა“,** რომელიც კრებულის სახელწოდებაცაა. მწერალი კარგად პოულობს ნორჩი მკითხველის გულისაკენ მიმავალ გზას, ზნეობრივი აღზრდის იმ ურთულეს პრობლემას, რაზეც მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები დიდი ხანია თავს იმტვრევენ და ჯერ კიდევ ბევრი რამ არის სათქმელი და დასაწერი.

მოთხრობაში „პატიოსანი სიტყვა“ აღწერილია ბიჭების ომობანას თამაშობა. უფროსმა ბიჭმა მასზე პატარა ბიჭი გუშაგად დააყენა და დაიწყეს თამაში. ამასობაში მოსაღამოდა და ბაღის კარები უნდა დაიკეტოს, ამიტომ ბიჭები შინ წავიდნენ, გუშაგი ბიჭი კი არავის გახსენებია. ამ უკანასკნელს პატიოსანი სიტყვა აქვს მიცემული, რომ საგუშაგოს არ დატოვებს მანამ, სანამ შემცველელი არ მოვა. საკმაოდ ჩამობნელდა, ბიჭი მარტოობის გამო ატირდა. მისი ტირილის ხმა შემოესმა ავტორს, მაგრამ ბიჭს საგუშაგოდან ფეხი ვერ მოაცვლევინა, თუმცა შიმშილიც ძლიერ აწუხებდა. მაშინ ავტორი ეუბნება ბიჭს, შენ ნადი და მე ვიქნები გუშაგიო, მაგრამ ბიჭმა სამხედრო კანონები კარგად იცის, რომ მისი შეცვლა მხოლოდ სამხედრო პირს შეუძლია და ამიტომ უარს ეუბნება. ავტორი იძულებული ხდება სამხედრო პირის საძებრად წავიდეს. მალე იგი ვიღაც მაიორთან ერთად ბრუნდება. ამ უკანასკნელმა უბრძანა ბიჭს საგუშაგოს დატოვება და ბიჭიც დაემორჩილა მის ბრძანებას. მაიორმა მას სახლამდე მიცილებაც შესთავაზა, მაგრამ ბიჭმა არ ისურვა. „მე მის ჭორფლიან ცხვირს შევხედე და გავიფიქრე, — ამბობს ავტორი, — რომ მას მართლაც არაფრის შეეშინდებოდა. ბიჭს, რომელიც ასეთი ძლიერი ნებისყოფისა და მტკიცე ხასიათისაა, სიბნელის არ შეეშინდება... და როცა გაიზრდება... ჯერ ძნელია იმის თქმა, რა გამოვა, როცა გაიზრდება, მაგრამ ერთი რამ ცხადია — მისგან ნამდვილი ადამიანი დადგება“.

მწერალმა ლ. პანტელეევმა სწორად მიაგნო მთავარს. კარგ პიროვნებად ჩამოყალიბების იმედი უნდა ვიქონიოთ იმ მოზარდისაგან, რომელმაც მიცემული პატიოსანი სიტყვის ფასი იცის.

კარგი მასწავლებლების სახეა დახატული ასევე ლიონკა პანტელეევის მოთხრობაში **„ახალი მოსწავლე“** და ლევ კასილის მოთხრობაში **„შემთხვევა საკლასო ოთახში“.**

როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, პედაგოგისათვის ყველაზე ძნელია საკუთარი შვილის აღზრდა, რადგან მშობლიური ეგოს გავლენისაგან განთავისუფლება თითქმის არავის ძალუძს. ეს კარგად იცის მოთხრობის — „ახალი მოსწავლე“ — ავტორმა ლიონკა პანტელეევმა. მწერალი კარგად იცნობს არა მხოლოდ აღმზრდელის პიროვნებას, არამედ ნინუანსებში წვდება ბავშვთა სამყაროში ცნობილ თავისებურებებს. მაგრამ ამ მოთხრობაში წინა პლანზე მაინც მასწავლებლის პედაგოგიური სიბრძნეა წამოწეული. ახალი მასწავლებელი ელიზავეტა ივანოვნა და მისი თორმეტი წლის გოგონა ვალია მოროზოვა პირველად არიან ამ სკოლაში. ისინი კიევიდან ლენინგრადში გადმოსახლდნენ. როცა პირველი გაკვეთილი მასწავლებელმა კლასის გაცნობას დაუთმო და თითოეულ გამოძახებულ მოსწავლეს თხოვდა მოკლე ცნობები მიეწოდებინათ მისთვის, ეს მოთხოვნა და საუბრის სტილი არ შეუცვლია მას, როცა საკუთარი შვილის გვარი ამოიკითხა ჟურნალში. ამით ტაქტიანმა მასწავლებელმა ჯერ საკუთარ შვილს მიანიშნა, რომ შენც ისეთივე ჩვეულებრივი მოსწავლე ხარ ჩემთვის, როგორც დანარჩენი შენი თანაკლასელებიო, კლასს კი მიახვედრა, რომ სწავლის პროცესში თქვენი ახალი თანაკლასელი და ჩემი შვილი ვალია მოროზოვა ერთმანეთისაგან განურჩეველი ხართო. ამის შემდეგ მასწავლებელ ელიზავეტა ივანოვნას არჩეული გზიდან არ გადაუხვევია და მოსწავლე ვალია მოროზოვა მასწავ-ლებელ ელიზავეტა ივანოვნასათვის მხოლოდ IVბ კლასის რიგითი მოსწავლე იყო.

ღირსეული მასწავლების — ქსენია ანდრეევნას სახეს ხატავს მწერალი ლევ კასილი მოთხრობაში **„შემთხვევა საკლასო ოთახში“.** იგი ოცდათორმეტი წელიწადია სოფლის სკოლაში ასწავლის პატარებს. მისი აღზრდილები უღრმესი პატივისცემით ეპყრობიან მის სიტყვას და რჩევა-დარიგებას. ომის დროს გერმანელი ფაშისტი ჯარისკაცები გაბატონდნენ სოფელში. მასწავლებელი აღმოჩნდა ის ძალა, ვინც სწორად წარმართა სკოლის მოსწავლეთა პატრიოტული ცნობიერება და მტრის მოწადინება — მიეგნო ტყეში შეფარული პარტიზანებისათვის მოსწავლეთა დახმარებით, უშედეგოდ დამთავრდა.

კიდევ უფრო შთამბეჭდავია მასწავლებლის სახე კრიტიკულ მომენტში. როცა განბილებულმა ფაშისტმა პარტიზანთა კვალს ვერ მიაგნო და ამის გამო მასწავლებელს პისტოლეტის ლულა კეფაზე მიაბჯინა და უბრძანა სამის დათვლაში მოსწავლეთა დახმარებით ეჩვენებინა ტყეში შეფარული პარტიზანების ადგილსამყოფელი, თორემ ტყვეიით მოუსპობდა სიცოცხლეს, მასწავლებელმა აფორიაქებულ ბავშვებს მიმართა: „გაჩუმდი, შურა, გაჩუმდი... ვისაც ეშინია, შებრუნდეს. ნუ მიცქერით, ბავშვებო. მშვიდობით. ისწავლეთ კარგად. და ეს გაკვეთილიც კარგად დაიმახსოვრეთ“. მაგრამ პარტიზანთა წყალობით ვითარება მალე შეიცვალა. იმავე საკლასო ოთახში პარტიზანთა მეთაურმა დატყვევებული ფაშისტები შეყარა და მასწავლებელს ბოდიში მოუხადა, ამ ოთახში თქვენ ხართ უფროსი და ეს მგრის ნაძირალა ჯარისკაცები აქ არ უნდა შემომეყაროო, ხოლო გერმანელებს, რომლებიც უკვე მერხებთან ისხდნენ, დაუყვირა — „ადექით! როცა კლასში მასწავლებელი შემოდის, ჩვენში ფეხზე დგებიან. თქვენთვის ეს არ უსწავლებიათ?“

მწერალი თავის ნორჩ მკითხველს არწმუნებს იმაში, რომ მტერი უნდა დავამარცხოთ არა მხოლოდ შეიარაღებული ძალებით, არამედ მორალურადაც. ნითელმა პარტიზანმა მასწავლებლისადმი დამოკიდებულებაში ამხილა მტრის მორალური სახე და უჩვენა, რომ გერმანელი ფაშისტები აუცილებლად დამარცხდებიან, რადგან მათ არ გააჩნიათ ჯანსაღი მორალური საყრდენი, რაც მათი მხრივ მასწავლებლის მიმართ უპატივცემულობაში გამოვლინდა.

კონსტანტინე პაუსტოვსკის მოთხრობა **„მუსიკის ძალა“** გამოირჩევა ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის ფორმისა და შინაარსის ოსტატური შერწყმითა და წარმოსახვით.

სიკვდილის სარეცელზე მიჯაჭვული მოხუცი საკუთარ ქალიშვილს მიმართავს: „სიკვდილის წინ მინდა ვიღაცას გავანდო ის საიდუმლო, რასაც აქამდე გულით დავატარებდი“. ეს საიდუმლო ორი თვემით აქვს მოხუცს ჩამოყალიბებული. პირველი, უსახსრობამ აიძულა გრაფისათვის, რომელთანაც მზარეულად მუშაობდა, მოეპარა ოქროს თეფში და გაეყიდა, მაგრამ მეუღლის გადარჩენა მაინც ვერ შეძლო. მეორე — „მინდა კიდევ ერთხელ თვალი შევავლო ჩემს ცოლს — მართას და საკუთარი თვალებით ვიხილო მზე ჩვენს ბაღში“. ყოველივე ეს მოხუცმა გაანდო ასევე ქალიშვილის მიერ ქუჩიდან მოწვეულ ახალგაზრდა კაცს.

— კარგი, — უთხრა უცნობმა მშვიდად, — შემდეგ წამოდგა და იქვე, გვერდით მდგარ როიალს მიუჯდა. — იქნებ ხელოვნების ძალით, რაც მე ძალმიძს, შეეძლო თქვენი სურვილის შესრულება, — დასძინა უცნობმა და როიალი აახმიანა. ოთახში საუცხოო მელოდია დაიღვარა.

— მე უკვე ვხედავ, ვხედავ! — წამოიძახა მოხუცმა აღელვებით. — მე ვხედავ ჩემს მართას, ვხედავ მზესა და ჩვენს შესანიშნავ ბაღს...

უცნობმა დაკვრა შეწყვიტა. მოხუცმა მზარეულმა ჩაილაპარაკა:

— ახლა მე განუზომლად ბედნიერი ვარ, მაგრამ მინდა, გავიგო ჩემი გამაბედნიერებელის გვარი და სახელი.

— ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, — იყო პასუხი.

კრებულში მოთავსებულია ცნობილი პედაგოგისა და საბავშვო მწერლის ვასილ სუხომლინსკის ხუთი მინიატურული მოთხრობა: „მათემატიკა — საინტერესო საგანი“, „ფილლიპ ივანოვიჩი“, „რკინის კომისარი“, „ძნელია იყო ადამიანი“ და „იმიტომ, რომ მე ადამიანი ვარ“.

მოთხრობები „ძნელია იყო ადამიანი“ და „იმიტომ, რომ მე ადამიანი ვარ“ დაუვიწყარ ზნეობრივ გაკვეთილებს უტარებს პატარებს.

ექსკურსიიდან მომავალმა მოწყურვებულმა ბავშვებმა ხუტორის განაპირას მდგარ ქოხის ეზოში ჭა შენიშნეს, მაგრამ ჭიდან წყლის ამოღება ვერ მოახერხეს. ქოხიდან გამოვიდა ქალი, ვედროთი წყალი ამოიღო ჭიდან და მაგიდაზე დადგა. ბავშვებმა წყურვილი მოიკლეს და გზას გაუდგნენ. დაახლოებით ერთი კილომეტრის გავლის შემდეგ მარიკას გაახსენდა, რომ დიასახლისისათვის მადლობაც კი არ გადაუხდიათ და მან მეგობრებს უთხრა:

— მოდი, დავბრუნდეთ, ჩვენ ხომ მადლობა არ გადაგვიხდია ქალისათვის...

— მერე რა, — თქვა რომანმა, — დიდი ამბავი... ამისათვის ღირს კი უკან დაბრუნება?

— ღირს, რომან, ღირს. საკუთარი თავის მაინც არ გრცხვენია? — უთხრა მარიკამ. — თქვენ როგორც გინდათ, ისე მოიქეცით, მე კი დავბრუნდები და მადლობას გადავუხდი.

— რატომ? მითხარი, რატომაა აუცილებელი ეს?

— იმიტომ, რომ ჩვენ ადამიანები ვართ, — უთხრა მარიკამ და ხუტორისაკენ გასწია. მას სხვებიც მიჰყვნენ. რომანი ცოტა ხანს შეყოვნდა, ერთი ამოიხვნეშა და ამხანაგებს უკან მიჰყვა.

„ძნელი ყოფილა ადამიანობა“, — ფიქრობდა იგი.

მოთხრობის — „იმიტომ, რომ მე ადამიანი ვარ“ — ლაიტმოტივი ასეთია: სამი დღის განმავლობაში მამა და შვიდი წლის ვაჟიშვილი ერთი და იმავე გზით დადიან. დილით მიდიან, საღამოს კი უკან ბრუნდებიან. პირველ დღეს, შინ დაბრუნებისას, მამამ სიბნელეში ვერ შენიშნა შუა გზაზე დაგდებული დიდი ლოდი და დაეჯახა. მეორე დღეს იგივე გამეორდა. მესამე დღეს მამა არიგებს შვილს: „ყურადღებით იყავი, ლოდს არ დაეჯახო, გვერდი აუარე“. მაგრამ ლოდი ძველ ადგილზე არ აღმოჩნდა. იგი გზიდან გადაეგდო მოხუცებულ კაცს, რომელიც იქვე გზის პირას იჯდა და ისვენებდა.

— ბაბუ, თქვენც დაეჯახეთ ლოდს და ფეხი იტკინეთ? — ეკითხება ბავშვი მოხუცს.

— არა, მე ლოდს არ დავჯახებივარ.

— მაშ, რატომ გადააგდეთ იგი გზიდან?

— იმიტომ, რომ მე ადამიანი ვარ.

ბიჭი მცირე ხნით ჩაფიქრდა და მამას ჰკითხა:

— მამი, შენ ადამიანი არა ხარ?

გულგრილად ვერ წაიკითხავს მკითხველი ალექსანდრე იონოვის მოთხრობას **„ლუკმა პური“,** ჰანს კრაუზეს **„კარაქიანი კუნძულის“ საიდუმლოებანი“,** ბ. ემელიანოვის **„შემთხვევა ტრამვაიში“** და სხვ.

ცალკე თემაა ადამიანურ შესაძლებლობათა საზღვარი, უფრო სწორად, უსაზღვროება და ნებისყოფის სიმტკიცე, რაც ადამიანის უმთავრეს ღირსებებზე მიუთითებს.

ადამიანის შესაძლებლობათა ამოუწურავ ენერგიაზე ესაუბრება მკითხველს ვასილ სუხომლინსკი მოთხრობაში **„რკინის კომისარი“.** ამ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი — კომისარი თავისი თავდადებით, შემართებითა და სიმამაცით აღაფრთოვანებს თანამებრძოლებს. მართალია, ზოგჯერ კოჭლობის ნიშანსაც ავლენს, მაგრამ ის თანამებრძოლთათვის საღ-სალამათი კაცია.

ერთხელ, შემოდგომის ღრუბლიან ღამეს, დივიზიამ დასავლეთისაკენ, დაახლოებით, ორმოცი კილომეტრით წაიწია. გაუვალ ტალახში ჯარისკაცები დიდი გაჭირვებით მიდიოდნენ, მაგრამ გაჩერება არ შეიძლებოდა, რადგან საჭირო იყო რაც შეიძლება მაღე ერთ-ერთი დიდი მდინარის გადასასვლელის ხელში ჩაგდება.

დაღლილობისგან ძალ-ღონეგამოცლილი რკინის კომისარი ისევ წინ მიდიოდა. უცებ იგი წაბარბაცდა და მიწაზე დაეცა. ჯარისკაცებმა წამსვე მიირბინეს მასთან. „გული გაუსკდა“ — თქვა ექიმმა. მისი სხეული ფრთხილად აიღეს და ქვემეხის ლაფეტზე დაასვენეს. მხოლოდ ახლა შენიშნეს ჯარისკაცებმა, რომ რკინის კომისარს ორივე ფეხზე პროთეზი ჰქონდა.

ვილი ბრედელის **„გაბედული მოხუციც“** ადამიანურ შესაძლებლობათა მაქსიმუმს უწვენებს თავის მკითხველს.

კრებულში მოთავსებული მოთხრობები ღრმა შთაბეჭდილებებს ახდენს მკითხველზე. ამის პირველი და უმთავრესი პირობა, რა თქმა უნდა, ავტორთა შემოქმედებითი ოსტატობაა, მაგრამ თარგმნილი ნაწარმოებისათვის ეს საკმარისი არ არის. თუ თარგმანი არ არის შესრულებული მხატვრული ღირებულების დონეზე, ნაწარმოები მკითხველის გულამდე ძნელად მიდის. პროფესორმა ნოდარ ბასილაძემ ეს სიძნელე დაძლია. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი თარგმნის ორი — რუსული და გერმანული ენებიდან, ამასთან, თარგმნის ორიგინალურად, ნათლად და გასაგებად; სადა და დახვეწილია მისი ქართული. ადრეც აღგვინიშნავს და ახლაც გავიმეორებთ, რომ იგი თარგმნის არა მხოლოდ ტექსტს, არამედ მაქსიმალურად ითვალისწინებს ავტორის სულისკვეთებას. მის მიერ ორივე ენიდან თარგმნილი ნაწარმოებები ისე წარმატებით მოქმედებს ქართველ მკითხველზე, როგორც მწერლის მშობლიურ ენაზე მკითხველთა განწყობაზე. ნოდარ ბასილაძის თარგმნილი ნაწარმოებების კრებული **„პატიოსანი სიტყვა“** ამდიდრებს ქართული საბავშვო მწერლობის ბიბლიოთეკას, ამდიდრებს ქართველი მოზარდების სულიერ სამყაროს.

პროფ. ნოდარ ბასილაძის მთარგმნელობითმა პრაქტიკამ კიდევ ერთხელ მოგვაგონა უცხოური ენებიდან პერსონაჟთა გვარსახელების ქართულად გადმოღების საკითხი.

ერთნი ფიქრობენ, რომ უცხო პერსონაჟის გვარსახელი ქართულად უნდა გადმოვიდეს იმავე ფორმით, როგორც მის მშობლიურ ენაზე ჟღერს. მეორე ჯგუფის აზრით კი — ისე, როგორც იგი მშობლიურ ენაზე იწერება. ჩვენ ამ უკანასკნელის მომხრე ვართ. მაგალითად გორბაჩოვი და არა გარბაჩოვი, მოროზოვა და არა მაროზოვა.

ეს პრობლემა თავს იჩენს ლიონკა პანტელეევის მოთხრობის „ახალი მოსწავლე“ ნოდარ ბასილაძისეულ თარგმანში. ამ მოთხრობის პერსონაჟი „ვალია მოროზოვა“ გადმოლებულია არა ისე, როგორც რუსულად იწერება, არამედ ისე, როგორც ზეპირმეტყველებაში ამბობს რუსი „მაროზოვა“. უფრო სწორი იქნებოდა ქართულადაც „მოროზოვა“ გადმოეღო მთარგმნელს, რადგან გვარი მოროზოვა წარმოებულია რუსული არსებითი სახელისაგან „мороз“.

მთარგმნელს მომავალში მეტი ყურადღების მიქცევა მოუწევს ზოგიერთი ლექსიკური ფორმის დახვეწაზე. მაგალითად, „რამდენიმე სანტიმეტრით გამაღლდა“, უმჯობესია „ამაღლდა“ (გვ. 15). „მილიციონერი“ (გვ. 42) ქართულად უნდა იყოს „მილიციელი, „დავჯახებულვარ“ (გვ. 72), უმჯობესია „დავჯახებივარ“.

აქვე ვიტყვი იმასაც, რომ მთარგმნელმა ქართველი მკითხველისათვის აუცილებლად უნდა მიუწეროს მწერალს ეროვნება. ამას მკითხველისათვის შემეცნებითი ღირებულება აქვს.

აღდგომა ქრისტესი



ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა! — ასე ესალმებიან ერთმანეთს ქრისტიანები აღდგომას. ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა უდიდესია ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის. ეს არის ცოდვაზე გამარჯვების ზეიმი. აღდგომას წინ უსწრებს სააღდგომო მარხვა, რომელიც 48 დღე გრძელდება და სულიერად გვამზადებს ამ უდიდეს დღესასწაულთან შესახვედრად.

აღდგომა მოძრავი დღესასწაულია. იგი აღინიშნება გაზაფხულის ბუნიობის შემდგომი სავსე მთვარის პირველ კვირა დღეს. წელს მართლმადიდებლურ სამყაროში წამებული იესოს მკვდრეთით აღდგომას ქრისტიანები 5 მაისს ულოცავენ ერთმანეთს.

იესოს ჯვარცმის შემდეგ ორმა დღემ გაიარა. მესამე დღეს კი უნდა აღსრულებულიყო ქრისტეს წინასწარმეტყველება: "მესამე დღეს მკვდრეთით აღვდგები". კვირა დღეს, გამთენიისას საფლავის დარაჯებმა მიწისძვრა იგრძნეს. მერე ანგელოზი დაინახეს, რომელმაც საფლავიდან ლოდი გადააგორა. ბოლოს იხილეს მაცხოვრის საფლავიდან აღდგომა. შიშით თავზარი დაეცათ და როდესაც გონს მოეგნენ, გაიქცნენ.

ჯერ გათენებული არ იყო, როცა მარიამ მაგდალინელი, სალომე და სხვები საფლავთან მიდიოდნენ, რათა იესოს სხეულისთვის ნელსაცხებელი ეცხოთ, რაც დამარხვის დროს ვერ მოასწრეს. ქრისტეზე მგლოვიარე მარიამმა როცა დაინახა გადაგორებული ლოდი და ცარიელი საფლავი, იფიქრა, რომ ქრისტეს სხეული მტრებმა წაიღეს. დაიჩოქა და მწარედ ატირდა.

მაშინ ორი ანგელოზი იხილა. მათ მაგდალინელს ტირილის მიზეზი ჰკითხეს. მარიამმა უთხრა, რომ უფალზე ტიროდა. ეს რომ თქვა, უკან მკვდრეთით აღმდგარი უფალი იესო ქრისტე დაინახა. მარიამი ვერაფერს მიხვდა, ეგონა, მებაღეაო. მაშინ იესომ უწინდელი ხმით დაუძახა: "მარიამ!" მარიამმა მაშინვე იცნო ხმაზე იესო. გაექანა, უნდოდა მუხლებზე მოჰხვეოდა, მაგრამ იესომ მას შეხების უფლება არ მისცა. გაგზავნა თავის ძმებთან და დააბარა, რომ ეთქვა: "აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქვენისა, ღვთისა ჩემისა და ღვთისა თქვენისა თანა". მარიამმა სასწრაფოდ ახარა იესოს აღდგომა იოანე და პეტრე მოციქულებს. მათ მიირბინეს მაცხოვრის საფლავთან და ნახეს, რომ ის ტილო, რომელშიც მაცხოვრის სხეული იყო გახვეული, ცალკე იდო, ხოლო სუდარა — ცალკე. იოანემ დაიჯერა, პეტრეს კი უკვირდა ეს ამბავი.

იესო ქრისტე ორმოცი დღის განმავლობაში არაერთხელ გამოეცხადა მოწაფეებს. იგი მოციქულებს ღვთის სასუფეველზე ესაუბრებოდა. აჩვენა ჯვარცმიდან დარჩენილი ნყლულები, რომლებიც სხეულზე ჰქონდა დარჩენილი და რამდენიმე სასწაული. ამის შემდეგ კი ქრისტეს აღდგომა მათაც ინამეს, რომელთაც ეს მანამდე არ სჯეროდათ. იესომ წმიდა სისხლით გამოგვისყიდა ცოდვისა და სიკვდილის მონებისგან.

აღდგომის დღესასწაულს მრავალი ტრადიცია უკავშირდება. მათ შორის არის კვერცხების ნითლად შეღებვის ჩვეულება. ეს ტრადიცია წითელ პარასკევს, ანუ ქრისტეს ჯვარცმის დღეს უკავშირდება. როდესაც მარიამ მაგდალინელი იმპერატორს წარუდგინეს, მან ქვეყნის მმართველს სიმბოლურად კვერცხი გადასცა და ქრისტეს აღდგომა ახარა. იმპერატორს ამის გაგონებაზე გაეცინა და თქვა, რომ ამის დაჯერება ისეთივე რთული იქნებოდა, როგორც ის, რომ ეს კვერცხი განითლდებოდა. მას ჯერ სიტყვა არ დაესრულებინა და კვერცხი ჯერ გავარდისფრდა, ბოლოს კი განითლდა. მარიამმა იმპერატორს ისიც აუწყა, რომ კვერცხი სიცოცხლის სიმბოლოა, წითელი კვერცხი — მაცხოვრის აღდგომისა. ეს გახდა დასაბამი იმისა, რომ ქრისტიანებს უფლის აღდგომა ერთმანეთისთვის წითელი კვერცხებით მიელოცათ.

ლარნაკებში დათესილი ხორბალი და მწვანე ჯეჯილზე გაგორებული წითელი კვერცხები სიკვდილის ძლევის სიმბოლოა. სააღდგომო სუფრა მრავალფეროვანი უნდა იყოს. ამ დღისთვის გამომცხვარი პასქა მაცხოვარს გვახსენებს, რომელიც ამბობს: "მე ვარ პური ზეციათ გარდამოსული".

ქრისტე აღდგა!!!

გზობა - ბაიობა

(უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში)

მართლმადიდებელი ეკლესია დიდმარხვის მეექვსე კვირა დღეს ზეიმობს მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლას, რასაც ქრისტიანები ბაიობას ანუ ბზობას უწოდებენ. ეს გახლავთ ათორმეტთაგან რიგით პირველი მოძრავი დღესასწაული, რომელიც ყოველთვის ემთხვევა ბრწყინვალე აღდგომის წინა კვირა დღეს.

„...ერი მრავალი, რომელ-იგი მოსრულ იყვნეს დღესასწაულსა მას, რამეთუ ესმა, ვითარმედ იესო მოვალს იერუსალემდ, მოიღეს რტოები დანაკის კუდთაგან და განვიდეს მიგებებად მისა, ღაღადებდეს და იტყოდეს: ოსანა! კურთხეულ არს მომავალი, მეუფე ისრაელისაო!", - ასე აღწერს იოანე მახარებელი მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლის ამბავს.

მაცხოვრის შესვლა იესუსალიმს ძლევამოსილი მეფის სატახტო ქალაქში შესვლას ჰგავდა. უბრალო ადამიანებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს უფალს. ეს ზეიმი წინასწარ არავის მოუმზადებია, ის ადამიანთა ყველაზე წმინდა, ყველაზე წრფელი გრძნობების უეცარი და, შეიძლება ითქვას, უფლის მიერ შთაგონებული გამოხატულება იყო. ასე ხდება, როცა ადამიანი ხარობს ღვთის დიდებულებისა და მისთა საკვირველთა საქმეთა გამო.

ამავე დროს, წმიდა სახარება საცნაურს ხდის იმ ფაქტს, რომ უფალი ჩვენი, იესო ქრისტე, ყოველთვის გაურბოდა მიწიერ პატივსა და დიდებას. ის თავმდაბლობითა და სიმშვიდით იფარავდა თავს ამქვეყნიური ზეობისაგან.

როდესაც მაცხოვარი მიუახლოვდა ბეთბაგესა და ბეთანიის მთას, რომელსაც ზეთისხილის მთა ეწოდება, ორი მოწაფე უახლოეს სოფელში გაგზავნა, რათა მიეყვანათ მისთვის შესასვლელშივე დაბმული ვირი და ჩოჩორი, რომლის ზურგზეც ჯერ არავინ მჯდარიყო. მოციქულებმა ბრძანება შეასრულეს. ეს ყველაფერი იმისთვის მოხდა, რომ აღსრულებულიყო წინასწარმეტყველება ზაქარიასი: „და პოვა იესო ვირი და დაჯდა მას ზედა, ვითარცა წერილ არს: ნუ გეშინინ, ასულო სიონისაო! აჰა ესერა მეუფე შენი მოვალს შენდა და ზე ზის იგი კიცვსა ვირისასა" (იოანე 12, 14-15).

იერუსალიმისაკენ დიდებით მიმავალი ხალხი სამოსელს უფენდა გზაზე, ზოგს კი პალმის (ბზის) რტოები ეკავა და ასე ეგებებოდა მაცხოვარს. ყოველი მხრიდან ისმოდა ღაღადისი: „ოსანა ძესა დავითისასა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისა?თა! ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა!" (მათე 21, 9).

ბზის ან პალმის მშვენიერებით ეკლესია უფრო ცხოვლად გამოხატავს უფლის დიდებით შესვლად იერუსალიმში. ეს დიდი ხნის ტრადიციაა. V საუკუნის სასულიერო მოღვაწე, კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი წმიდა პროკლე, თავის ერთ-ერთ სიტყვაში ასე ამბობს: „ხელთ ვიპყრათ პალმის ტოტები და შევეგებოთ დიდებით მომავალს უფალს ჩვენსას".

ღმერთი კი ყოველ ჩვენგანს სთხოვს, სულიერად შეეგებოს მას, სამოსლის ნაცვლად გული გაუფინოს კიცვზე მჯდომ მეუფეს, მხურვალე ლოცვა და თაყვანისცემა კი ბზის ტოტებივით მიართვას და ისე მიიღოს უფალი საკუთარ სულში, როგორც იერუსალიმში.

იერუსალიმს დიდებით შესვლით უფალმა მორწმუნეებს სიყვარულის გამომჟღავნების საშუალება მისცა, ხოლო მოძულეებსა და მტრებს - მისი შეცნობისა და სინანულად მოქცევისა.

გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანა...

თავიანთი კაკუშირის პირველი თვეები წმინდა წყვილმა მშვიდობიანად და ღვთისმოსაურად გაატარა. მათ მოკრძალებულ სამყოფელში ღვთის მადლი გამეფებულიყო. დრო გადიოდა შრომასა და ლოცვაში, რაც მათ ყველა მოქმედებას ნათელს ჰფენდა. მართალი იოსები თავისი წინაპრების სიმდიდრით და დიდებულებით არ გამოირჩეოდა, მათგან ხომ ბევრი მეფე და წინასწარმეტყველი იყო, მაგრამ მათ შორის საუკეთესოთაგან სათნოებათა საგანძური მიიღო.

ძველი ჩვეულების თანახმად, იოსები ხეს სახლში კი არ ამუშავებდა, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა, არამედ მისგან განცალკევებულ სახელოსნოში. ის შორს არ იყო მართალი ანნას სახლიდან და ერთი ვიწრო ოთახისაგან შედგებოდა, რომელიც ცხრა ან თორმეტი კვადრატული მეტრი თუ იქნებოდა. სახლის წინა მხარეს ქვის სკამი იდგა, - დაღლილ მგზავრთა მოსასვენებლად, რომელსაც შუადღის მზის მწველი სხივებისაგან პალმის ტოტებით გაკეთებული ჩერო იცავდა. უდრტვინველი და გულმოდგინე იყო მართალი იოსების უმძიმესი შრომა.

თავისი დამწინდველის სახლში ქალწულ მარიამს წმიდათა წმიდაში შეთვისებული ცხოვრების წესი არ შეუცვლია. ის განმარტოებით უშფოთველად ცხოვრობდა, გამუდმებულ შრომაში იყო; ლოცვა, წმინდა წიგნების კითხვა, ხელსაქმე და შინაური საზრუნავი მთლიანად ავსებდა მის მორჩილ და წყნარ ცხოვრებას: ადამიანთა შორის ის მხოლოდ ღმერთისთვის არსებობდა და იოსების ოჯახი მისთვის იგივე იყო, რაც სამლოცველო სახლი. ის ძველებურად ართავდა, საეკლესიო შესამოსლებს ქსოვდა და მისი ყველა ნამუშევარი ხელოვნების ნიმუში იყო.

ბოლოს უფლის წელიწადის სანატრელი დროც დადგა: მოაღწია დღემ, რომელსაც ადამიანთა მოდგმა 5000-ზე მეტ წელს ელოდა. წმიდა მამათა თქმით, ქალწულმა მარიამმა საღვთო და საწინასწარმეტყველო წიგნებიდან იცოდა, რომ აღთქმული მესიის მოსვლის ჟამი მოინია და დანიელის წინასწარმეტყველება უნდა აღსრულებულიყო: „აჰა, ქალწული მიუდგეს და შვას ძე და უწოდონ მას სახელი ემანუელ" და თავის წარმოსახვაში ხშირად ვარაუდობდა, რომ ეს კურთხეული ქალწული ამქვეყნად უკვე არსებობდა. მისი სული მხოლოდ ნანატრი მესიის სიყვარულით კი არ ინოვდა, არამედ იმ ქალწულისადმი თაყვანისცემით, რომელიც მესიის დედა უნდა გამხდარიყო. ცრემლით იმეორებდა თავის ლოცვებში, რომ ღირსეყო უფალს, აღთქმული მესიის დედა საკუთარი თვალით ენახა და მომსახურებოდა მას, თუნდაც მისი უკანასკნელი მხეკალი გამხდარიყო.

გადმოცემა გვიამბობს, რომ ჯერ კიდევ ტაძარში ყოფნისას ქალწულმა მარიამმა მიიღო საიდუმლო ნიშანი, რომ მისგან სიტყვა ღვთისა შეისახამდა ხორცს. ერთხელ ღამით, როდესაც ჩვეულებისამებრ მეორე კრეტსაბმელის მიღმა ლოცულობდა, მაღლიდან სხივი დაეცა მას და მოესმა ხმა: „შენ შობ ჩემს ძეს".

სახარებაში ნათქვამია, რომ მთავარანგელოსი გაბრიელი ქალწულ მარიამს მაშინ გამოუჩნდა, როდესაც ის ნაზარეთში, იოსებ დამწინდველთან ცხოვრობდა. გადმოცემის მიხედვით, ამ დროს იგი წმინდა წერილს კითხულობდა და ფიქრობდა წინასწარმეტყველ ისაიას სიტყვებზე - „ქალწულმან მუცლად იღოს" - თანაც მხურვალედ ლოცულობდა, ღირსი გაეხადა უფალს, რომ ჩქარა ეხილა მესია. უცებ მის წინაშე მთავარანგელოზი გაბრიელი წარმოსდგა და თითქოს მისი აზრების პასუხად, წარმოსთქვა ღვთაებრივი მოკითხვა: „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის".

მთავარანგელოსის გამოცხადებამ არ შეაშინა ყოვლადწმინდა ქალწული. ტაძარში ყოფნისას ის ანგელოსების გამოცხადებას და მათთან საუბარს მიჩვეული იყო, მაგრამ უჩვეულო მისალმებამ იგი განაცვიფრა. უფალი არაერთგზის უცხადებდა თავის ნებას ანგელოსის საშუალებით ძველი აღთქმის რჩეულებს, მაგრამ მისალმება - „გიხაროდენ" - უწინდელ გამოცხადებაში არავის სმენია.

ქალწული მარიამი მოულოდნელობისგან დუმდა და ცბიერი გველის განსაცდელს უფრთხოდა. ღვთისმოსაური მოკრძალებით უმზერდა ზეციური მაცნე წმიდა ქალწულის შეცბუნებას და მისი დამშვიდება ისწრაფა: „ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა, და აჰა ესერა შენ მუცლად იღო და ჰშვე ძე და უწოდო სახელი მისი იესუ, ესე იყოს დიდ და ძე მაღლის ეწოდოს და მისცეს მას უფალმან ღმერთმან საყდარი დავითის მამისა თვისისა? და მეუფეებდეს სახლსა ზედა იაკობისსა საუკუნოდ და სუფევისა მისისა? არა იყოს დასასრულ".

პირველქმნილი ევა არ შეუცბუნებია გველის სიტყვებს, როდესაც მან შესთავაზა პატივი - ყოფილიყო ყოვლისმცნობელი და ღვთის მსგავსი. ევამ განუსჯელად შეიწყნარა გველის ცრუ დაპირება და აკრძალული ნაყოფი იგემა, ხოლო მის მიერ - მთელი კაცობრიობის ცოდვა და სიკვდილი, მაგრამ ქალი, რომლის თესლისაგანაც გველის თავის დათრგუნვა ქვეყნიერების დასაბამიდან იყო განსაზღვრული, კეთილმაუწყებელს უდიდესი ქალწულებრივი სინმინდით შეხვდა და თუმცა საიდუმლოს სიდიადეს ვერ ჩასწვდა, მისი ყოველი სიტყვა გაიგო: „ვითარ-მე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი?" ანუ მე ქორწინებაში ნილი არ მაქვს, თუმცა დაწინდვის წესის თანახმად ქმარი მყავს, მაგრამ ქალწულების აღთქმის მიხედვით მისი ცოლი არა ვარ". ყოვლადწმინდა ქალწულმა ანგელოსის ნათქვამი მეტად მაღალ პატივად მიიჩნია. მთავარანგელოსმა მისი ეჭვი განაქარვა: შენ უმამაკაცოდ გააჩენ ძეს: „სული წმიდა მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისა? გფარვიდეს შენ". ე.ი. ჩასახვა ზებუნებრივად, სულიწმიდის მიდგომილებით უნდა აღსრულებულიყო და იგი გახდებოდა დედა - ადამიანთა გონებისათვის მიუწვდომელი. ამიტომ მასში წმინდად ჩასახული ძე ღვთისა სხვა ადამიანთა მსგავსი კი არა, - წმინდა იქნება, ცოდვას ნაწილი არ ექნება მასში და „ძე მაღლის" ეწოდება.

ხარებამ უდიდესი საიდუმლო გახსნა და მთავარანგელოსმა გაბრიელმა ქალწული მარიამის სრულად დასარწმუნებლად მის ნათესავზე - ელისაბედზე მიანიშნა: „და აჰა ელისაბედ, იგიცა მიდგომილ არს ძესა სიბერესა თვისსა და ესე მეექუსე თუე არს მისი, რომელსა იგი ერქუა ბერწ, რამეთუ არა შეუძლებელ არს წინაშე ღმრთისა ყოველი სიტყუა?". ადამიანური განსჯის მიხედვით შეუძლებელია, რომ უხრწნელმა ქალწულმა შვას და უნაყოფო ქალმა მუცლად იღოს, მაგრამ ყოვლისშემძლე ღმერთისთვის შეუძლებელი არ არსებობს: „სადაც ღმერთისა ენებოს, იძლევიეს წესი ბუნებათა?".

ღვთივსულიერი ნათელი მოეფინა ქალწულს, მან გაიხარა ანგელოსის ხარებით და ირწმუნა, რომ ნამდვილად ღვთის ნებით ეუწყა. შემოქმედისადმი უდიდესი მადლიერებით აღვსილმა - მაღალი ღმერთის სიწმინდესთან შედარებით ადამიანურ ღირსებათა არარაობა შეიცნო და უპასუხა: „აჰა, მხეკალი უფლისა, მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა". სიმდაბლემ და ღვთის ნებისადმი კრძალულებამ მოსდრიკა ცა და ძე ღვთისა გარდამოხდა მიწაზე - „სიტყვა ხორციელ იქმნა".

ღვთის დავალების აღსრულების შემდეგ მთავარანგელოსი გაბრიელი ზეციურ ნათელს დაუბრუნდა.

ძე ღვთისას განხორციელების საიდუმლო აღსრულდა: ქალწული დედად იქცა და დედა კვლავ ქალწულად ეგო. ყოველთა ნათესავთაგან გამორჩეულმა, სულით და ხორციით სპეტაკმა, მან საკუთარ თავში მადლის სრული საუნჯე შეიკრიბა. მთავარანგელოსის ხარებამ „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანა", - ქვეყნიერებაზე დადებული მსჯავრი გააუქმა და კაცობრიობას სიხარულის უფლება მისცა. და იმ წუთებიდან, სადაც არ უნდა გამოჩენილიყო ღვთისმშობელი, ყველა სიხარულით ივსებოდა: გიხაროდენ, მიმადლებულო, ყოველთა მიწიერთათვის სიხარულის მიმმადლებელო, გიხაროდენ, მხურვალე შუამდგომელო, ყოველთა შენდა მოლტოლვილთა გულთა მშვიდობისა და სიხარულის მიხეჭებელო.

მარიამი ზეციური მაუწყებლის ხარებულზე დიდხანს ფიქრობდა, მის სულში იმედი და ბედნიერება ჩასახლდა. ის ანგელოსის მიერ მოტანილი სიხარულით ხარობდა, მით უმეტეს, რომ ეს სიხარული მთელ ქვეყნიერებას ეკუთვნოდა. ხარობდა იგი თავისი საყვარელი ნათესავის ელისაბედის გამო, რომელიც მანამდე ბერწი იყო. სულიწმიდის შთაგონებით მარიამმა გადაწყვიტა ენახა იგი, რათა ერთმანეთის სიხარული გაეზიარებინათ, მან ისწრაფა მთაში - მთიან მხარეს, სადაც ზაქარია და ელისაბედი ცხოვრობდნენ. იოსებმა მასთან ერთად წასვლა ვერ შესძლო, მაგრამ, უეჭველია, იზრუნა, რომ მარიამი შეერთებოდა თავის ნათესავებს, რომლებიც წმინდა ქალაქში ჭეშმარიტი ღმერთის თაყვანისსაცემად მიდიოდნენ. მთიანი იუდეის მიწა ნაზარეთიდან ხუთი დღის სავალზე იყო დაშორებული. მთელი გზა გადიოდა მთებში, რომლებიდანაც ნაკადულები დიოდა. სულიწმიდის მადლით ცხებული წმიდა ქალწული საკუთარი თავის საიმედო დამცველი თავადვე იყო, თუმცაღა მას მარტოს, მხლებელთა გარეშე, მანამდე არ ემგზავრა.

ხუთი დღის შემდეგ წმინდა მარიამმა მოგზაურობის მიზანს მიაღწია, მის წინაშე ღვევიტელთა ქალაქი იუდა გამოჩნდა, აქ ცხოვრობდნენ მისი ნათესავები. ის შეუსვენებლივ მიისწრაფოდა კარგად ნაცნობი სახლისკენ. ელისაბედი შესახვედრად გამოვიდა და წმინდა მარიამის მისალმებაზე კრძალვით უპასუხა. უღრმესი გრძნობის ნიაღვარმა მას წარმოათქმევინა შთამაგონებელი სიტყვები: „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა".

ასეთი კრძალვით შეხვედრა და წინასწარმეტყველური სიტყვები თავმდაბალი მარიამისთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ, როცა ამ მისალმებაში ანგელოსის ხარების სიტყვები შეიცნო, ის დარწმუნდა, რომ ყოველივე სულიწმიდის შეგონებით ხდებოდა. მაშინ მის წინაშე მთელი სიცხადით წარმოსდგა ყველა წინასწარმეტყველება, - სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადამიანთაგან გამოსული: მის გულში მაღალი ღმერთის მიმართ მადლიერების გრძნობა გაძლიერდა და ღვთივშთაგონებულ წინასწარმეტყველურ გალობას გადმოიღვარა, ეს სადიდებელი გალობა ახალი აღთქმის პირველი სამადლობელი საგალობელია: „ადიდებს სული ჩემი უფალსა, და განიხარა სულმან ჩემმან ღმრთისა მიმართ, მაცხოვრისა ჩემისა, რამეთუ მოხედნა სიმდაბლესა ზედა მ?ევლისა თ?სისასა; რამეთუ აჰა ესერა ამიერითგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი; რამეთუ ყო ჩემ თანა დიდებული ძლიერმან, და წმიდა არს სახელი მისი, და წყალობა? მისი ნათესავითი ნათესავადმდე მოშიშთა მისთა ზედა; ყო სიმტკიცე მკლავითა თ?სითა; განაბნინა ამპარტავანნი გონებითა გულთა მათთა?თა; დაამ?უნა ძლიერნი საყდართაგან და აღამაღლნა დაბალნი; მშიერნი აღავსნა კეთილითა და მდიდარნი განაცლინნა ცუდნი; შეეწინა ისრა?ლსა, მონასა თ?სსა, მო?სენებად წყალობისა. ვითარცა ეტყოდა მამათა ჩუენთა აბრაჰამსა და ნათესავსა მისსა საუკუნოდ".

არაჩვეულებრივი და მნიშვნელოვანი სიტყვებით უპასუხა ყოვლადწმიდა მარიამმა ელისაბედის წინასწარმეტყველურ მისალმებას, მთელ სიდიადეს ის ერთ დიდ ყოვლისშემძლე უფალს მიაწერს, საკუთარ თავს კი მხოლოდ უძლურ იარაღად მიიჩნევს, რომლის საუსალებითაც ღვთის დიდება გაცხადდა და აღიარებს, რომ ყოვლადძლიერმა მოჰხედა თავისი მხვევლის სიმდაბლეს. ის საკუთარ თავს ღვთივშთაგონებით ყველასგან სანატრელად სცნობს („ამიერიდან მნატრიდნენ მე ყოველნი ნათესავნი"), - წინასამარადისო კრებაზე გამორჩეული ძე ღვთისას დედად. „რამეთუ ყო ჩემ თანა დიდებული ძლიერმან და წმიდა არს სახელი მისი". ის აცნობიერებს ღმერთის მიერ მასზედ გარდამოვლენილ წყალობას და აღიარებს, რომ ეს წყალობა მხოლოდ მას კი არ ეკუთვნის, არამედ მისი საშუალებით ყველა ღვთისმოშიშ ადამიანს და რომ ისრაელი ერი თავის ცოდვათა გამო უკვე განდევნილი აღარ არის, არამედ უფალმა წმინდა მამათმთავართათვის მიცემული ყველა აღთქმა მოიხსენა და თავისი ხალხი ღირსჰყო, მათ შორის აღთქმული მესია მოსულიყო. ღვთის აღთქმის გარდაუვალი აღსრულების რწმენით განმსჭვალული წმინდა დედები ერთურთს განსწავლიდნენ და ადიდებდნენ ღმერთს. ამ კურთხეული შეხვედრის დრო ჩქარა დასრულდა და სამი თვის შემდეგ წმინდა მარიამი ნაზარეთში დაბრუნდა. მორჩილებითა და ლოცვით ელოდა იგი მთავარანგელოს გაბრიელის მიერ ნახარები ღვთიური აღთქმის აღსრულებას და გამუდმებით თავისი საცხოვრებლის კეთილმოწყობაზე ზრუნავდა. ცისა და მიწის დედოფლის მთელი დიდებულება ამკობდა და უფლის დედობით მისი გამოუთქმელი სიმაღლე კიდევ უფრო იზრდებოდა.

წმინდა ქალწულის მიერ მუცლადღებიდან უკვე მეექვსე თვე იწურებოდა და მისი მდგომარეობა მართალი მოხუცებული იოსებისთვის შეუმჩნეველი ვეღარ დარჩებოდა. ის ვერ ხვდებოდა, რომ მის წინაშე ქვეყნიერების მხსნელის ხორცშესხმა ხდებოდა, თუმცაღა იცოდა, რომ მოსეს მიერ აღთქმული მესია ქორწილის გამოუცდელი, ყმაწვილი ქალწული ქალისაგან წარმოსდგებოდა.

მის სულში ეჭვების ქარიშხალი დატრიალდა. ძლიერი მღელვარების დროს მას საძაგელი ცდუნების შესაძლებლობა დაუშვა, ამგვარ ვარაუდზე უარესი რაღა იქნებოდა სიმართლისმოყვარე და უმანკო გულისათვის?! ძმიმე საფიქრალმა შეიპყრო იგი და აღარ იცოდა, თუ წმინდა ქალწულ მარიამს როგორ მოქცეოდა.

იუდეური კანონის სიმკაცრის მიხედვით, თუკი ბრალს სამსჯავროს წინაშე დასდებდა, ის ქვით უნდა ჩაქოლილიყო, მაგრამ მისი სიმართლე და მარიამისადმი ღვთისმოსაური სიყვარული ასეთ გამოსავალს მთელი გულით უარჰყოფდა. კანონის მიხედვით მას უფლება ჰქონდა, რომ მიზეზის დაუსახელებლად გაჰყროდა მას, თუმცა ესმოდა, რომ სხვების დასანახად შეიძლება სასტიკი და უსამართლო გამოჩენილიყო, მაგრამ მას ეს არ აშინებდა: ყველაზე მთავარი მისთვის იყო, რომ ხალხის თვალში მარიამის მოჩვენებითი დანაშაული სიყვარულისა და თანადგომის საფარველით დაემალა; მართალ ადამიანს არ სურდა, რომ ის სხვათა წინაშე შეერცხვინა. გადაწყვიტა, დანაშაული საკუთარ თავზე აეღო. გადაწყვეტილება მიღებული იყო და ოთხმოცდაათი წლის მოხუცი მზად იყო დაეტოვებინა მარიამი, რომლის ყოფნა ასეთ მშვიდობასა და სიხარულს ანიჭებდა მოხუც მზრუნველს.

მართლმსაჯული ღმერთი ისმენდა თავისი რჩეულის ზრახვებს და ლოცვას და მან თავისი ანგელოსი მოუვლინა იოსებს, რომელმაც დაამშვიდა იგი და გონება ჭეშმარიტების სხივით გაუნათა. ანგელოსი მას სიზმარში გამოეცხადა და უთხრა: „ნუ გეშინინ მოყვანებად მარიამისა, ცოლისა შენისა, რამეთუ რომელი მისგან იშვეს, სულისაგან წმიდისა არს". ანგელოსმა მას დავითის ძე უწოდა, რათა გაეხსენებინა, რომ იგი შთამომავალია სამეფო გვარისა, რომელიც ადრე მიუჩრდილებელი სინათლით ბრწყინავდა და თუმცა იმჟამად დამცრობილი იყო, მაგრამ კვლავაც არსებობდა აღთქმა, რომ მისგან გამოვიდოდა მეუფე დიდებისა და შთაადონა, რომ მისგან დანინდული ქალწული მარიამი წმინდა და უმანკოა, რომ ის საკუთარ სახლში უნდა იყოლიოს, რათა დაიცვას და იზრუნოს როგორც დედაზე, ისე მისგან შობილ დიდების მეუფეზე. ნუ შეცბუნდები - უთხრა ანგელოსმა, შეიცან ჭეშმარიტება და გიხაროდეს „შვეს ძე და უწოდონ სახელი მისი იესუ, რამეთუ მან იხსნას ერი თვისი ცოდვათა მათთაგან". გიხაროდენ, მართალო მოხუცებულო: ქალწული აღთქმისაებრ შობს ძეს სულისაგან წმიდისა, თუმცა შენ მამად მხოლოდ ინოდები, მაგრამ გაქვს ყოველივე, რაც მას ეხება: შენ მისცემ მას სახელს, და როგორც ნამდვილი მამა, იზრუნებ მასზე, „ესე ყოველი იქმნა, რათა აღესრულოს სიტყუა იგი უფლისა? პირითა წინასწარმეტყუელთა?სა თქმული: „აჰა, ქალწული მიუდგეს და შვეს ძე და უწოდიან სახელი მისი ემმანუელ, რომელ არს თარგმანებით: ჩუენთანა ღმერთი".

იოსებმა გაიღვიძა და მის გულში ეჭვისათვის ადგილი უკვე აღარ დარჩა. ძველი დროიდან მან იცოდა ისაიას წინასწარმეტყველების შესახებ. ანგელოსის სიტყვებმა დაარწმუნა, რომ ქალწული მარიამი წმინდა და უმანკოა: მას უფლის სიტყვებისა სჯეროდა და დამტკიცებას არ ითხოვდა. მოკრძალებით და სახარულის კრთომით „განეღვიძა ძილისაგან მისისა და ყო ეგრეთ ვითარცა უბრძანა მას ანგელოსმან უფლისამან და წარიყვანა ცოლი და არა იცოდა იგი ვიდრე შვა ძე იგი მისი პირმშო".

სიყვარულითა და კრძალვით სავსე გულით მოხუცებულმა ისე მიიღო ყოვლადწმიდა ქალწული, როგორც მთლიანად ღვთისათვის კუთვნილი, როგორც ძე ღვთისას კურთხეული დედა და მხურვალედ, დაუღალავი მზადყოფნით ემსახურებოდა მას, როგორც მთელი ქვეყნიერების მფლობელს.

ღვთიური გამოცხადების შემდეგ მართალი იოსების თვალში ქალწული მარიამი მისგან დაწინდული ქალწულიდან მხსნელი ღმერთის უფროსადკურთხეულ

ღვთიური გამოცხადების შემდეგ მართალი იოსების თვალში ქალწული მარიამი მისგან დაწინდული ქალწულიდან მხსნელი ღმერთის უფროსადკურთხეულ დედად იქცა. ვაჟკაცურად გადატანილმა განსაცდელმა, თვითუარყოფამ და მძიმე ბრძოლამ უდიდესი სულიერი ნაყოფი მოუტანა: არამინიერი შუქი დაჰნათოდა ქალწულ მარიამს და მის დამწინდველს, რომლის სული სიამაყემ ვერ დააბნელა და არ დააკარგვინა მორჩილება, ასეთი აუცილებელი რომაა ადამიანურ სათნოებებში წარსამატებლად.

ამის შემდეგ მარიამი იოსების სახლში დარჩა და განუყრელად ცხოვრობდა მის აღსრულებამდე. მშვიდობიანად მიდიოდა მარადიული ქალწულის ცხოვრება, რომლიც დამწინდველის ზრუნვით იყო გარემოცული, მან მთავარანგელოსის სიტყვების მიხედვით გააცნობიერა ღვთისმშობლის მიმართ მასზედ დაკისრებული მოვალეობები და შიშითა და კრძალვით ემსახურებოდა.

ღვთისმშობლის ხარების დღესასწაული ქრისტიანთა მიერ პირველი საუკუნეებიდანვე აღესრულება. ეკლესიის მამათა უძველეს ნაწერებში მითითებულია, რომ ღმერთაცის განკაცება 25 მარტს მოხდა, რადგან პირველი ადამიანიც სწორედ 25 მარტს შეიქმნა. ძველი აღთქმის ადამი, რომელმაც თავისი ცოდვით დაცემით მთელ კაცობრიობას სიკვდილი მოუტანა ახალი აღთქმის პირველკაცმა ხსნისა და ნეტარებისათვის ხელახლა აღადგინა იმავე დროს, როცა ის შეიქმნა. მართლმადიდებელი სარწმუნოების უძველესი მქადაგებლები ქრისტეს მიმდევრებს ასწავლიდნენ, რომ პატივი მიეგოთ ღვთისმშობლისათვის. ეკლესიის უდიდესი მამები ყოვლადწმიდა მარიამს ღვთისმშობლად თვლიდნენ. მათი სწავლებით, ვინც ღმერთის დედას ღვთისმშობლად არ სცნობდა, ის სარწმუნოებისა და ქრისტიანობის მტერი იყო და ქრისტიანის სახელს არ იმსახურებდა.

ანგელოსის ხმით გიღაღადებთ, შენ წმიდაო:

გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანა.

ტყე – სიჯანსაღისა და სიცოცხლის სიმბოლო

საქართველოს ერთ-ერთ სიმდიდრესა და სიკეთეს ქართული ტყე წარმოადგენს. გეოგრაფიული და ნიადაგობრივ—კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, იგი თავისი ფლორისა და ფაუნის ბიომრავალფეროვნებით უნიკალური ფენომენია.

ტყე დედამიწის ერთ მესამედს მოიცავს; ის ფარავს საქართველოს ტერიტორიის 40 %-ს; საქართველოს ტყეების 98% მთის ტყეებს წარმოადგენს, განლაგებულია მაღალი დაქანების ფერდობებზე და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს (ნიადაგდაცვითი, წყალდაცვითი, კლიმატმარეგულირებელი და სხვა).

საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილია ხელუხლებელი ტყეები. აქ გავრცელებული 400-მდე მერქნიანი სახეობიდან 61 საქართველოს, ხოლო 43 კავკასიის ენდემია. საქართველოს ტყეები ბუნებრივი უნიკალურობისა და ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით შედის ველური ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) ოცდათორმეტ „ცხელ წერტილში“.

საქართველოს ტყე ყოველწლიურად დაახლოებით 180-190 მილიონ ტონამდე ჰაერის მტვერს ფილტრავს; შთანთქავს წლიურად 41,5 მილიონ ტონა ნახშირორჟანგს და გამოყოფს 36 მილიონ ტონა ჟანგბადს. ხეები პლანეტის ყველაზე ხანდაზმული ორგანიზმებია და უდიდეს ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს; 1 ჰექტარი ტყის მიერ ჟანგბადის გამოყოფა ანაზღაურებს 19 ადამიანის მიერ მოხმარებულ ჟანგბადს; ორი მრავალწლოვანი ხე ყოველწლიურად ოთხსულიანი ოჯახისათვის საკმარის ჟანგბადს გამოიმუშავებს. ტყე აუმჯობესებს წყლის ხარისხს და ცირკულაციას, ხელს უწყობს წყლის ნაკადის წარმართვას, ნალექის რაოდენობის შემცირებას და ამცირებს ნიადაგიდან წყლის აორთქლებას; ტყეში არსებული წყაროები სასმელი წყლის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს; ხის ფესვები აკავებს ნიადაგს, ამცირებს ეროზიების რისკს და ხელს უწყობს ნიადაგის საფარის აღდგენა-შენარჩუნებას.

შენობის გარშემო განთავსებული ხეები ჰაერის კონდიცირების აუცილებლობას 30%-ით ამცირებს; მრავალწლოვანი ხე 70-ჯერ მეტად ეწინააღმდეგება დაბინძურებას, ვიდრე ახლადდარგული; ტყიდან მოპოვებული ხის მასალის 60% საწვავად გამოიყენება. ეს ნიშნავს, რომ საწვავი და ბიოენერგია ტყის ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტია; ხეების მიერ შთანთქმული ნახშირორჟანგი მრავალი წლის განმავლობაში რჩება ტყის სიღრმეში; ხე ცეცხლისაგან ადვილად იღუპება, ხოლო წვის დროს მის მიერ შთანთქმული ნახშირორჟანგი ატმოსფეროში ბრუნდება, ამიტომ ტყის ხანძრისაგან დაცვა აუცილებელია; ტყე ქმნის ჩრდილსა და სიგრილეს; სილამაზეს სძენს ლანდშაფტს.

ეკოლოგიური თვალსაზრისით, განსაკუთრებით დიდია მთიანი ტყის მასივების მნიშვნელობა ისეთი მცირემიწიანი და მთაგორიანი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, რადგან ტყის კორომების გამეჩხერება ქვეყნის მიწა-წყლის მოსპობის ტოლფასია. ამისათვის ზრუნავდნენ უძველესი დროიდან ქართველი ერისკაცები ჩვენს ტყეებზე, ამიტომ გვმოძღვრავდა თავის დროზე წმიდა ილია მართალი, რომ “ტყის მოვლა-გაშენება და დაცვა — ეს არ არის რომელიმე კერძო პირის საქმე, ეს მთელი ერის საქმეა. ვისაც მამულისთვის გული არ შესტკივა, ის, რასაკვირველია, ხეებს უღმერთოდ გააჩანაგებს, გაკაფავს და ცეცხლსაც კი წაუკიდებს.”

რა ხდება საქართველოს ტყეებში დღეს, ჩვენს ცივილიზებულ ეპოქაში?

პოსტსაბჭოთა ხანაში ჩვენს ქვეყანაში შექმნილმა ურთულესმა სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ საშინელი დაღი დაასვა ადგილობრივ ბიოლოგიურ რესურსებს, განსაკუთრებით ტყეებს. საბჭოთა ხანაში რუსეთიდან საქართველოში ყოველწლიურად მილიონობით კუბური მეტრი ხე-ტყე შემოდიოდა, იყო ალტერნატიული საწვავი: ქვანახშირი, გაზი, ელექტროენერგია, დიზელის საწვავი, რითაც ჩვენი დაცვით-ეკოლოგიური ფუნქციის ტყეები დაუზიანებლად ინახებოდა. 25 წლის წინ ყოველწლიურად საქართველოში 8-10 ათას ჰექტარზე აშენებდნენ ხელოვნურ ტყეებს. ის დრო წარსულს ჩაბარდა, სათბობ-ენერგეტიკული კრიზისიდან გამომდინარე, განსაკუთრებით გაიზარდა მოსახლეობის მოთხოვნილება შეშაზე, ასევე, სამშენებლო ხე-ტყეზე. დღეს ჩვენს ქვეყანაში მშენებლობის ბუმია და ხე-ტყის დეფიციტი ძირითადად ჩვენი ტყეების ხარჯზე ივსება.

“ღმერთს ჩვენთვის გაუჩენია, სარგოდა, მოსახმარადა! და დღესაც არავინ ჰზოგავს ვერხვ-წიფელს მოსაკლავადა,” — ვკითხულობთ ვაჟას გენიალურ “გველის მჭამელში”, მაგრამ ტყის შემდგომი არსებობა მის გონივრულ გამოყენებაზეა დამყარებული. დაცული უნდა იყოს ტყეთსარგებლობის მეცნიერულად დადგენილი წესები, რათა უზრუნველვყოთ ტყის ბუნებრივი განახლება და მისი აღდგენადი რესურსებით უწყვეტი სარგებლობა. ტყის რესურსების წესიერი, გეგმაზომიერი გამოყენება არის ბუნების დაცვის აქტიური ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მცენარეული რესურსების კვლავწარმოებასა და უწყვეტი სარგებლობის ხანგრძლივობას.

საქართველოს ტყეების 97% მთის ტყეებია და ატარებს ნიადაგდაცვით, წყალდაცვით და წყალმარეგულირებელ ფუნქციას. მთის ფერდობებზე ტყის მოსპობა იწვევს ნიადაგის ეროზიას, მის ჩამორეცხვას, მთის ქანების დაშლას, ღვარცოფებს, მეწყერებსა და ეკოლოგიურ კატასტროფებს.

უსისტემო, მტაცებლური და ინტენსიური ჭრები მთიან ტყეებში ჩვენი მცირემიწიანი და მთაგორიანი ქვეყნის მიწა-წყლის მოსპობის ტოლფასია. ტყის მოსპობით ჩვენს შთამომავლობას გაუდაბნოებულ ქვეყანაში ცხოვრების პერსპექტივას ვუქმნით. ამ ფაქტით აღშფოთებული ერის მოჭირნახულე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ჯერ კიდევ 2000 წლის 10 ოქტომბერს ასე მიმართავდა სრულიად საქართველოს: “მინდა გულისტკივილით ავღნიშნო, რომ ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები, რომელიც ხე-ტყის მოჭრასთან და მის საზღვარგარეთ გატანასთან არის დაკავშირებული, ბოროტებად იქცა საქართველოს მოსახლეობის მიმართ. თუ ეს პროცესი არ აღიკვეთა, ჩვენ მოწმენი გავხდებით დიდი ეკოლოგიური კატასტროფისა. ტყეების გაჩეხვა უნდა შეჩერდეს”.

არ შევისმინეთ ერის სულიერი მოძღვრის შეგონება და ქვეყანა სტიქიურმა კატასტროფებმა მოიცვა. ჩვენი მთა-ბარი უბედურებების ზონად იქცა. აჭარაში 7 სოფელი მოწყდა გარე სამყაროს — მოისპო გზები, ხიდები, დაიტბორა და დაინგრა საცხოვრებელი სახლები, ზვავმა და მეწყერმა ქობულეთსა და ხელვაჩაურში 11 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ბოლო წლებში მარტო აჭარიდან სტიქიით დაზარალებული ასობით ეკომიგრანტი ოჯახი დასახლდა კახეთსა და მესხეთ-ჯავახეთში.

ეკოლოგიური კატასტროფა თავს დაატყდა ქართლ-კახეთსაც, ახმეტისა და ლაგოდეხის რაიონებს. მდინარე ილტოს ხეობიდან აუცილებელი გახდა შვიდი სოფლის მოსახლეობის სასწრაფო ევაკუაცია, რადგან ამ სოფლებსა და მიცვალებულთა საფლავებს, წყალდიდობებისა და მეწყერების გამო, სტიქია მდინარეში ჩარეცხვით დაემუქრა. ეკოლოგიური კატასტროფები გრძელდება. ამიტომაც, საჭიროა დროულად აღირიცხოს ტყის დარჩენილი რესურსები, ყურადღება მიექცეს ტყეების გეგმაზომიერი ექსპლუატაციის, აღდგენისა და დაცვის საქმეს, რათა რაც დაგვრჩა, ის მაინც შევინარჩუნოთ.

საჭიროა დროულად შევუდგეთ ქართული ტყის დარგვა-აღდგენა-მოვლა-გაშენების საშვილიშვილო საქმეს, რადგან “ხეს დიდი ძალა აქვს, ამასთან, იგი არის სიჯანსაღისა და სიცოცხლის სიმბოლო. ბიბლიაში არაერთხელ არის

საუბარი ურთხელის, კედარის, ნაძვის, ფიჭვის, მუხისა და სხვა მცენარეთა შესახებ, რომელთაც სხვა ღრმა დატვირთვაც აქვთ.... გავაშენოთ ტყეები, რადგანაც გახარებული ხეები ლოცვით, სიყვარულითა და იმედით სავსე გულით იქნება დარგული და ამასთან, იქნება სიმბოლო ჩვენი უფაქიზესი და უძვირფასესი გრძნობებისა,” — გვმოძღვრავს ერის სულიერი მამა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე.

ამრიგად, დღეისათვის დიდ ყურადღებასა და გულისხმიერებას მოითხოვს ქართული ტყის დაცვა. დროა, სანამ ქვეყანა მეწყერსა და ზვავებს მთლიანად არ დაუცევია და წყალს არ წაუღია, შემოვკრათ განგაშის ზარები, გადავარჩინოთ საქართველოს ბუნება, ბუნების უმშვენიერესი გვირგვინი — ქართული ტყე, ჩვენი მიწა-წყალი და მომავალი.

ტყეები თანამდროვე მსოფლიოს პრობლემად იქცა. უკვე დიდი ხანია ტყის რესურსების (განსაკუთრებით მერქნის) მოხმარებამ გადააჭარბა ბუნების მწარმოებლურ ძალას. გარემოს დაბინძურებისა და კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე, ტყის დაცვა და მისი მდგრადი მართვა მთელი მსოფლიოს, ყველა ქვეყნის მნიშვნელოვანი საზრუნავი გახდა.

ამის დადასტურებაა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1971 წლიდან 21 მარტის ტყის (ტყის დაცვის) საერთაშორისო დღედ გამოცხადება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პან გი მუნის აზრით, ყველა სახის ტყის ეკოსისტემების მდგრადი განვითარებისათვის ძლიერ მნიშვნელოვანია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ტყის მნიშვნელობის შესახებ.

შესაბამისად, სტუდენტებსა და მოზარდებში ტყის მნიშვნელობის, მისი ეკოსისტემების როლისა და მდგრადი განვითარების შესახებ ცოდნის გაღმავება, ცნობიერების ამაღლება, მეტად მნიშვნელოვანია. სწორედ ამ მიზნით, ტყის დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 23 მარტს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ეკოლოგიისა და ტექნოლოგიური ფაკულტეტის სატყეო საქმის სპეციალობის სტუდენტები პროფესორ—მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობდნენ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და სსიპ სატყეო სააგენტოს მიერ ორგანიზებულ გამწვანების აქციაში. აქ სტუდენტებთან ერთად ასევე ჩართული იყვნენ ქ. ბათუმის მოსწავლე—ახალგაზრდობის სასახლის აღსაზრდელები და მე—14 საჯარო სკოლის მოსწავლეები. მათი მონაწილეობით ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ხერთვისისა და აგარის სატყეოს ფართობზე, გამეჩხრებული ტყის ტერიტორიის შესავსებ—აღსადგენად დაირგო 500—მდე კაკლის ხე.

დასასრულს მინდა ავღნიშნო, რომ კათალიკოს—პატრიარქის დამოძღვრების შესაბამისად, ხეები მართლაც დიდი ლოცვით, სიყვარულითა და იმედებით სავსე გულით დავრგეთ და ამასთან, ამ პროცესმა სტუდენტებსა თუ მოსწავლეებს უდიდესი სიამოვნება მოგვანიჭა, უფაქიზესი და უძვირფასესი გრძნობები აღძრა თითოეულ ჩვენგანში.

დავრგოთ, თუნდაც ერთი ძირი ტყე და გადავარჩინოთ გარემო.

გიორგი ჯინჭარაძე
ტექნოლოგიური ფაკულტეტის სატყეო სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტი

ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, ყველა სამიზნე რეგიონში ტყეების მდგომარეობის ცვლილების დინამიკა უარყოფითია და ის თანდათანობით უარესდება: ტყეების ადგილს ბუჩქნარი და ბარდი იკავებს, ტყეებიდან ქრება ადრე გავრცელებული ცხოველები, ინტენსიურად მიმდინარეობს სატყეო გზების დახრამვა, ფერდობების ჩამორეცხვა და დამეწყვრა, იზრდება ღვარცოფებისა და წყალმოვარდნების რისკი, სოფლებს ექმნებათ სასმელი წყლის პრობლემები.

ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, ტყეების მდგომარეობის გაუარესებამ შემდეგი პრობლემები წარმოშვა:

- **აჭარის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე?ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონები —სოფლის სიახლოვეს არსებული ისტორიული, კულტურული ან საკულტო დანიშნულების ტყეების დაზიანება;**
- **აჭარის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამეგრელო?ზემო სვანეთისა**

და ქვემო ქართლის რეგიონები — ბუნების ძეგლების დაზიანება;

- **კახეთის რეგიონი — რეკრეაციული/დასასვენებელი ადგილების დაზიანება;**
- **კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები - სოფლის სიახლოვეს არსებული სუბალპური ტყეების დაზიანება;**
- **რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები - ტყეებში და მიმდებარე ტერიტორიებზე ბუნებრივი კატასტროფების კერების წარმოქმნა.**

რედაქტორი:
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი:
ნესტან მამუჭაძე

saredaqcio kolegia:
nana cecxlaZe, inga SamiliSvili
naTiawiklaSvili, nino doliZe
murman gorgoSaZe,
daviT baraTaSvili
guram Caganava,SoTa mamulaZe
gugu li dumbaZe, nugzar RomiZe

გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა
„სამშობლოში„
2 18 07 76; 5 99 95 31 90
მის.: ქ. თბილისი,
რობაქიძის 7